

ბექა სირაძე: „ლუკა სირაძეს მარიანა ჩოლოიანი ემუქრებოდა, რომ მე შემიქმნიდა პრობლემას“



17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

მუხლახანა დაწერილი და მბრალად გამოტანებული ბარათები

ფასი გაზთთან ერთად 9,5 ლარი



ოთხშაბათი, 25 დეკემბერი, 2019

№305 (8259)

ფასი: 60 თეთრი

„კალაქი ოპოზიციის ლიდერი გახდება“



აპ.5

მამუკა ტუსკაძე: „პოზიცია და ოპოზიცია „ქართულ ოცნებაშივე“ ჩამოყალიბდება“

სამა-ფაქა თბილისის საკრებულოში

ლევან

აპ.3

ხაბეიშვილი: „დოქტორიშვილს ნაციონალების პლაკატს ადრე ხელიდან ვერ გააგდებინებდი“



„ოცნება“ ნაციონალების დროს მომხდარი დანაშაულების გამართლებით არის დაკავებული“



აპ.3

კახა კოჭორიძე: „ორპარტიულ დაპირისპირებას ჩვენ შევცვლით“



აპ.3

ნინია კაკაბაძე: „შეუძლებელია, კახა ბექაურის მიმართ კითხვები არ გიჩნდებოდეს“

„ოცნება“ რუსეთში არსებულ კანონებს ვერ გადმოიღებს და ცენზურას ვერ დააწესებს“



აპ.4

„ოცნების“ განცხადებაზე აღარც შეხიზნება“

თორნიკე შარაშენიძე: „დიქტატურის რესურსი ხელისუფლებას არ აქვს“

„ოცნებასა“ და ოპოზიციას ვაშინებთონიდან სილა გაანდეს“

მირიან მირიანაშვილი: „რუსეთთან კავშირებს ყველას გამოუჩნდრევენ, მათ შორის ფსევდოდასავლურ ოპოზიციას“



აპ.4



აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი საქართველოს შსს-ს მიერ ტრანსნაციონალური კიბარდნაშაულებრივი ჯგუფის წევრების დაკავების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებას პოზიტიურად აფასებს

აპ.2



2 ნიქა მელიასათვის დაუბატონების ჩამორთმევა საქონსტიტუციოში გასაჩივრდა

2 აუდიტის სამსახური ფინანსების განცხადებას სწავლობს

5 სუსმა სამხედრო მაღალჩინოსანი ს.ბ. დააკავე

6 რუსეთში ავიაგამანადგურებელმა კატასტროფა განიცადა



ნიკა მელიასათვის დაპატიმრების რამდენიმე საკონსტიტუციო განცხადება

2019 წლის 23 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოში ნიკა მელიას კონსტიტუციური სარჩელი შევიდა, რომლითაც გასაჩივრდა ამავე წლის 12 დეკემბრის დადგენილება მისთვის დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

მელიას ინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოში მის ადვოკატთან ერთად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტები დაიცავენ.

საქართველოს პარლამენტმა ნიკა მელიას ვადაზე ადრე დეპუტატის უფლებამოსილება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 დეკემბრის განაჩენის საფუძველზე შეუწყვეტა.

აღნიშნული განაჩენით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ნიკა მელია დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი გაეცხადნა საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, რაც დაედო საფუძველად ნიკა მელიასათვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტას.

პარლამენტმა ნიკა მელიასათვის უფლებამოსილების შეწყვე-



მეჩინა კანონიერ ძალაში შესულად. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების პირობებში, იმ შემთხვევაში, თუ ნიკა მელიას უდანაშაულოდ ცნობს საპედაციო ან უზენაესმა სასამართლომ, მას ვეღარ აღუდგება დეპუტატის უფლებამოსილება. ამით აზრი ეკარგება თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებას. იმავდროულად, საპედაციო და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები რჩება აღუსრულებელი: ნიკა მელია გათავისუფლებულია მხო-

ლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდისაგან, დეპუტატის უფლებამოსილება მას საპედაციო ან უზენაესი სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაშიც არ აღუდგება.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულია უფლება სამართლიან სასამართლოზე. ეს უფლება გულისხმობს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გამამტყუნებელი განაჩენის შემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას. პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება უზენადად არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლების ამ ორ ძირითად პრინციპს, ვინაიდან აზრს უკარგავს გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრებას, იმავდროულად, გამოირცხავს საპედაციო ან უზენაესი სასამართლოს გამამართლებელი განაჩენების აღსრულების შესაძლებლობას. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან ერთად არღვევს თანამდებობის დაკავების და სამართლიანი სასამართლოს უფლებებსაც.

საკონსტიტუციო სასამართლოს, საპედაციო ან უზენაესი სასამართლოსაგან განსხვავებით, აქვს უფლება, ძალადაკარგულად ცნოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის დადგენილება მისი ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან (2019 წლის 12 დეკემბრიდან).

შესაბამისად, ამ კონსტიტუციური სარჩელით მოსარჩელე პარლამენტის აღნიშნული დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობასა და დეპუტატის უფლებამოსილების აღდგენას ითხოვს.

შალვა შვარცნაძე პატიმრობაში დატოვან

ანა სუბელიანის ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ფაქტზე სასამართლო სხდომა გაიმართა

კინოთეატრ „ამირანთან“ სამოქალაქო აქტივისტ ანა სუბელიანის ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ფაქტზე გუშინ, 24 დეკემბერს, წინასამართლო სხდომა გაიმართა.

პროცესზე მხარეებმა მტკიცებულებების დასაშვებობაზე იმსჯელეს. ასევე, დაცვის მხარემ ბრალდებულ შალვა შვარცნაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობა დააყენა, თუმცა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა.

– შალვა შვარცნაძეს ედავება ბრალდების მხარე სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენებას, თუმცა აქ მოტივი არის მნიშვნელოვანი. მოტივი არის იმგვარი, ვითომ ეს მოხდა სექსუალური შეუწყნარებლობის მოტივით, რასაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არ ეთანხმება და არც მე არ ვიზიარებ.

საქმეშიც არ მოიპოვება ამის მტკიცებულებები, გარდა იმისა, რომ ეს წარმოადგენს ბრალდების მხარის ვარაუდს. ჩვენ დღეს ვიშუამდგომლეთ იმის თაობაზე, რომ მომხდარიყო აღკვეთის ღონისძიების შეცვლა და, ნაცვლად პატიმრობისა, მას შეფარდებოდა გირაო, თუმცა, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, სასამართლომ იგი დატოვა პატიმრობაში, – განაცხადა ადვოკატმა მერაბ წერეთელმა.

პროკურორ დავით კიკაჩიშვილის განცხადებით კი მტკიცებულებით დასტურდება, რომ ბრალდებულმა დანაშაული სექსუალური ორიენტაციის შეუწყნარებლობის მოტივით ჩაიდინა.



– ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულია, რომ დანაშაული ჩადენილია სექსუალური ორიენტაციის შეუწყნარებლობის მოტივით, რაც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმაზე მიუთითებს.

ამას ადასტურებს მოწმეთა ჩვენებები, მათ შორის დაზარალებულის და თვითმხილველების ჩვენებები. ნივთიერი მტკიცებულებები, სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ვიდეოჩანაწერები, ასევე წერილობითი მტკიცებულებები, რაც ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულია კანონმდებლობის სრული დაცვით, – განაცხადა პროკურორმა.

საქმეზე არსებითი განხილვა 6 იანვარს დაიწყება.

„სდილოზან, კალანდის დახვან რამოაილონ“

ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის ბრალდებით დაკავებული მისი კალანდის ადვოკატის, ზურაბ თოდუას, განცხადებით, ის შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში მოწმის სტატუსით გამოსაკითხად დაიბარეს.

ადვოკატი განმარტავს, რომ საქმე ეხებოდა 2017-2018 წლებში ხორავას ქუჩაზე მომხდარ საქმეში არსებულ მოწმეებზე განხორციელებული ზეწოლის საქმეს.

– დღეს გამოიმძახეს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში, ჩემი საჩივრის თაობაზე, ასე განმიმარტეს, რომელიც მე მაქვს შეტანილი 9 დეკემბერს და ამ საჩივრით ვითხოვ გამოძიების დაწყებას ჩემს მიმართ განხორციელებული მუქარის, ზეწოლისა და საადვოკატო საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების გამო.

საქმე ეხებოდა ზაზა სარალიძის მოქმედებას. როგორც გამოძიებლმა განმიმარტა, ჩემს საჩივართან დაკავშირებით უნდა მიმეცა განმარტებები. მისვლის შემდეგ კი ამისნაირი, რომ თურმე მიბარებდნენ 2017-2018 წლებში ხორავას ქუჩაზე მომხდარ საქმეში არსებულ მოწმეებზე განხორციელებული ზეწოლის რაღაც საქმეზე, სა-

ადვოკატი ზურაბ თოდუა შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოკითხეს

დაც უნდა დავეკითხე მოწმის სახით. არ მივეცი ჩვენება, როდესაც ჩემთვის გახდა ცნობილი, რა საქმეზე მიბარებდნენ სინამდვილეში, – განაცხადა ზურაბ თოდუამ.

ადვოკატმა განმარტა, რომ თუ ის ჩვენებას მისცემდა და მოწმედ დაფიქსირდებოდა, ბრალდების მხარეს სამართლებრივი საფუძველი ეძლეოდა, მიხეილ კალანდის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმისგან მისი ჩამოცილება მოეთხოვა.

– მანამდე სხვადასხვა გზებით ცდილობდნენ ჩემი საქმიდან ჩამოცილებას, ახლა უკვე სახელისუფლებო დონეზე ცდილობენ, სამართლებრივად მომიძებნონ საფუძველი, რათა ჩამოაცილონ კალანდის დაცვას. ეს არის უკვე აშკარად გამოხატული მოქმედება.

პირდაპირ გეტყვით ფაქტობრივად კალანდის მიმართ, რომ არც ერთი სამხილი არ არსებობს, ამის გასაჯაროებას მალე ელირცხებიან და, აქედან გამომდინარე, ცდილობენ, დაუწერონ კანონებით მოახდინონ ზემოქმედება, რათა შეასრულონ პოლიტიკური დავითა, რაც მათ მიიღეს საქართვე-



ლოს დროებითი საპარლამენტო კომისიიდან „ქართული ოცნებისა“ და „ევროპული საქართველოს“ ერთობლივი გადაწყვეტილების შესასრულებლად, – განაცხადა ზურაბ თოდუამ.

ადვოკატი 25 დეკემბერს აპირებს საჩივრის შეტანას, რათა დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

– მოვითხოვ კატეგორიულად, დაიწყოს გამოძიება და მოცენ დაზარალებულის სტატუსი, – განაცხადა ზურაბ თოდუამ.

გურამ ჩალაგაშვილისა და 5 პირის სასამართლო გადაიღო

12 დეკემბერს პარლამენტთან აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული 6 პირის, მათ შორის „გამარჯვებული საქართველოს“ წევრ გურამ ჩალაგაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრ ბესიკ გაზდელიანის სასამართლო პროცესი გადაიღო.

შემდეგი სასამართლო სხდომა 3 თებერვალს, 16:00 საათზე გაიმართება.

საქმის მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილმა ბრალდების მხარეს დამატებითი მტკიცებულებების შესაგროვებლად მისცა დრო, მათ შორის მოითხოვა სახმრე კამერე-



ბის ჩანაწერების წარდგენა, ხოლო გარე ჩანაწერებს ის თავად გამოითხოვს შესაბამისი სამსახურიდან.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე ჩანაწერები წარადგინა, სადაც ამ პირთა ნაწილის დაკავება ჩანს. დაცვის მხარე ითხოვდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მათი მხრიდან დანაშაულის ჩადენის კადრები წარედგინა, რაზეც ედავებიან და არა – დაკავების. დაცვის მხარე ასევე მოუწოდებდა მოსამართლეს, ეს კადრები მტკიცებულებად არ დაეშვა, რადგან აქ კონკრეტული დანაშაული არ ჩანდა. შეგახსენებთ, 12 დეკემბერს პარლამენტის წინ საპროტესტო აქციაზე 16 პირი დააკავეს, მათ შორის „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე.

აუდიტის სამსახური ფიზიკური განსხვავებას სწავლობს

აუდიტის სამსახური ფიზიკურის განცხადებას სწავლობს, რომელიც ხელისუფლებასთან კავშირში მყოფი ასობით ყალბი გვერდისა და ანგარიშის გაუქმებას ეხება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ აუდიტის სამსახურში განუცხადეს, აუდიტის სამსახურის იურისტები განიხილავენ, რამდენად იკვეთება აუდიტის კომპეტენცია ფიზიკურის განცხადების შინაარსში.

– სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამჟამად ფიზიკურის განცხადებას ეცნობა. სამსახურის იურისტები განიხილავენ, რამდენად იკვეთება აუდიტის სამსახურის კომპეტენცია და მანდატი აღნიშნული განცხადების შინაარსში, – აცხადებენ აუდიტის სამსახურში.

შეგახსენებთ, ფიზიკურმა საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირებული ასობით გვერდი, ანგარიში და ჯგუფი წაშალა.

„აუდიტის 39 ქართული ფიზიკურგარიში, 344 გვერდი, 13 ჯგუფი და 22 ინსტაგრამგარიში, რომლებიც ჩართული იყვნენ კოორდინირებულ არაავტენტურ ქცევაში“, – ნათქვამია ფიზიკურის განცხადებაში.

რომის პაპმა ილია II პატივად მიიწვია

რომის პაპმა ფრანცისკემ საქართველოს პატრიარქი ილია II ვატიკანში მიიწვია.

მიწვევის წერილს საპატრიარქო ავრცელებს.

წერილიდან ირკვევა, რომ ილია II-ს ვატიკანში ვიზიტიდან 40 წლისთავთან დაკავშირებით ეპატივებიან. ამ მოვლენის აღსანიშნავად ვატიკანში სხვადასხვა ღონისძიება გაიმართება.

„2020 წელს 40 წელი უსრულდება თქვენს ისტორიულ ვიზიტს ვატიკანში. ამ მოვლენის აღსა-

ნიშნავად სათანადო ღონისძიებები დაგეგმილი, მათ შორის, მაღალი დონის მუსიკალური პროექტები, რომელშიც გვსურს მონაწილეობა მიიღოს საქართველოს საპატრიარქოს მგალობელთა გუნდმა და „სიქსტეს“ საპაპო სამუსიკო კაპელამ.

შესანიშნავი იქნებოდა, თუ ამ ღონისძიებებს დაესწრებოდა თქვენი უწმინდესობა, რომლის სულისშემძვრელი საეკლესიო მუსიკალური ქმნილებებიც ღირსია აღიარებისა და დაფასებისა“, – ნათქვამია რომის პაპის წერილში.



აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა პოზიტიური შეფასება მისცა ქართველი სამართალდამცავების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს, ასევე საქართველოსა და აშშ-ს შესაბამის უწყებებს შორის უპრეცედენტო თანამშრომლობას, რის შედეგადაც ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს, რომლებიც „GozNym“-ის სახელით ცნობილ მავნე პროგრამას იყენებდნენ. მათი დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად ასეულ მილიონობით დოლარის ოდენობის ზიანი მიადგათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს.

აღნიშნულის შესახებ ვრცელი ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული.

ქართველი სამართალდამცველების მიერ ჩატარებული წარმატებული ღონისძიებების შესახებ საკუთარ მოხსარებას ამერიკის შეერთებული შტატების პროკურორი ბრედი აფიქსირებს და აცხადებს:

– „GozNym“-ის საერთაშორისო დანაშაულებრივი სინდიკატის დევნა განხორციელდა ევროპოლში სამართალდაცვითი სფეროში პარტნიორებთან თანამშრომლობითა და მისი მი, მე განვაცხადე, რომ საერთაშორისო კიბერდანაშაულის გამომწვევები საჭიროებს საერთაშორისო რეაგირებას.

მინდა მოვულოცო და პერსონალური მადლობა გადავუხადო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას გამოძიების პროცესის უზრუნველსაყოფად გაწეული შრომატევადი საქმიანობისათვის და ერთგულებისთვის, ასევე მონდომებისთვის რათა ამერიკაში და მსოფლიოს გარშემო განხორციელებულიყო მართლმსაჯულება „GozNym“-ის ქსელით დაზარალებულთათვის.

ახალი
თარიღი

გამოცემის
1993 წლის
23 იანვარი

მთავარი რედაქტორი – სოლო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ალაღინაშვილი

საფინანსო სამსახური – ჯორა ბალაძე
სარედაქციო სამსახური – 294-02-55

დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გარეკანების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების ნიშნულზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მისამართი: ძ. თბილისი, ჩუპინაშვილის ძ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91

ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge

ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru



სამა-ტყაპა თბილისის საკრებულოში

ლევან ხაბეიშვილი: „დოხტურიშვილს ნაციონალების პლაკატს ადრე ხელიდან ვერ გააგდებინებდი“



ნონა ცაბაძე

გუშინდელი საკრებულოს სხდომა საკმაოდ ხმაურიანი აღმოჩნდა. სიტყვიერი დაპირისპირების გარდა, „ოცნების“ და ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები ერთმანეთს ფიზიკურადაც შეეხნენ. დაპირისპირების მიზეზი კი ერეკლე კუხიანიძე იყო. „ახალი თაობა“ ამ დაპირისპირების მთავარ მონაწილე ლევან ხაბეიშვილს ესაუბრა

– ლევან, სერიოზული მუშტი-კრივი და დაპირისპირება იყო საკრებულოში. რა მოხდა თქვენს და დოხტურიშვილს შორის?


– ძალიან მარტივი რამეა. ჩვენ ტყვე დაგვიტოვეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ნელინადი და 9 თვე მიუსაჯეს. დატყვევებულია ეს კაცი. ტყვედ არის ჩვენი მოქალაქე ჩავარდნილი და ეს კაცი, კუხიანიძე, ისევ აგრძელებს პროვოკაციულ ქმედებებს და აკეთებს უტიფარ ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს.

ჩავიდა საზღვართან და თქვა, რომ აქ კანონებს დღაბნინაო და ჩვენ სერიოზულად უნდა მივიღოთ და პატივი უნდა ვცეთო. ეს მოგვიწოდა ამ კაცმა. გუშინ გამოდგა და აცხადებს, რუსეთს ოკუპანტი არ უნდა ვეძახოთ, რადგან სწინთ იმათო. აი, ასეთი კაცია კუხიანიძე, მინი გავრილოვია, მათ შორის არაფერი განსხვავება არ არის, უბრალოდ, გავრილოვს თავის სამშობლო უყვარს. კუხიანიძე კი თავის სამშობლოს მოლაპატე და მტერია.

– რატომ დაიწყო თქვენ შორის დაპირისპირება?

– აი, ეს კაცი ისევ მოვიდა საკრებულოში კომისიის სხდომაზე და სცადა საკრებულოს უმრავლესობამ „ქართული ოცნებიდან“, რომ მასთან ერთად ჩაეტარებინა სხდომა.

ერთადერთ რამეს ვთხოვდი კომისიის თავმჯდომარეს, მოეწოდებინა კუხიანიძისთვის, რომ



მას დაეტოვებინა დარბაზი. ხოლო თუ კანონი ამის საშუალებას არ აძლევდა, მაშინ ვთხოვდი უმრავლესობას, რომ ეს ის საკითხია, სადაც უნდა ვიყოთ ერთად და მოდით პროტესტის ნიშნად ყველამ დავტოვოთ კომისიის სხდომა და კუხიანიძე მარტო დავტოვოთ ამ ოთახში.

მე ვითხოვდი, საჯაროდ დაგვეფიქსირებინა ყველას, რომ ამ კაცს, რომელიც რუსეთს ოკუპანტს არ ეძახის, რომელიც ჩვენს ტყვე მოქალაქეს ნილს აყოლებს, არაფერი ესაქმება საკრებულოში და საზოგადოებაში, ამიტომ პროტესტის ნიშნად დავტოვოთ სხდომა. ხომ ამბობენ გავემიჯნეთო. თუმცა, ამის ნაცვლად, კუხიანიძეს კი არ მოუწოდებდა საკრებულოს თავმჯდომარე, სხდომა დაეტოვებინა, მთელი 20 წუთის განმავლობაში მე შეკამათებოდა.

– სხდომის ჩაშლა უნდა ხაბეიშვილს და არ ჩავაშლევინებთ არავითარ შემთხვევაში.

– კი ბატონო, სხდომის ჩაშლა მიწოდდა. დღეს რა უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი ქვეყნის ინტერესები თუ რაღაცა პეპლების კომისია, სადაც ვითხოვდი, რომ პროტესტის ნიშნად დაგვეტოვებინა სხდომა.

ისიც ვუთხარი, ეს უთავმოყვარეო კაცი თუ კიდევ შემოვა ამ სხდომაზე, მე აღარ შემოვალ-მეთქი. აბა, თქვენ რა გგონიათ, მე სახელმწიფო მოღალატესთან ერთად დავჯდები და პეპლებზე ვილაპარაკებ?! უკაცრავად, მაგრამ არ ვაპირებ! ვინც მე გამამტყულებს და მეტყვის, კუხიანიძისთანა კაცთან ხაბეიშვილი რატომ არ დაჯდა და პეპლებზე რატომ არ ილაპარაკაო, იმისთანა კაცის დედა ვატირე! ამისთანა კაცის არც მხარდაჭერა მჭირდება, არც თანამებრძოლეობა და არც თანამოქალაქეობა.

– ერთ დროს თქვენი პარტიის წევრი იყო დოხტურიშვილი და ახლა ფიზიკურად დაუპირისპირდით ერთმანეთს.

– ორი ნელია, დეპუტატია და ხმა არ ამოუღია. ყველამ დღეს გაიგო მაგის ხმა პირველად. ეს კაცი არის კლასიკური მაგალითი მედროვეობის! საკრებულოში პატარა გავრილოვი ხომ კუხიანიძეა, ეს დოხტურიშვილი კი მედროვეობის კლასიკური მაგალითია. ასეთები ბევრნი არიან. 2012 წლის ოქტომბერში დოხტურიშვილი იყო ნაციონალური მოძრაობის წევრი. პლაკატს ვერ გამოართმევდი ხელიდან ხუთი ნომრისას. რომ მისცემდი ათს, ორ წუთში კიდევ მოვიდოდა, ოცი კიდევ დამიმატეო. ოცს თუ მივცემდი, მეტყვოდა, 30 დამიმატეო. არც ერთ სიტყვას არ ვამტყებ, რასაც გეუბნებით, ზუსტად ასე იყო.

– როდის გადაბარგდა „ოცნებაში“?

– როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, ცოტა ხანი კიდევ ჩუმად იყო და 2013 წლიდან საბოლოოდ გადაბარტირდა „ქართულ ოცნებაში“. აი, ასეთი მედროვე ხალხია. მეტსაც გეტყვით, ჩემს დაქვემდებარებაში იყო, მე ვიყავი მისი ხელმძღვანელი.



ეს კაცი არის ამის ეტალონი, თუ როგორი უნდა იყოს მედროვე. დღეს სწორედ ასეთი მედროვეები იცავენ გავრილოვებს. ლალატი აქვთ სისხლში! პრინციპების ლალატი.

– ანუ რა იქნება, ლევან, რამდენჯერაც მოვა კუხიანიძე სხდომაზე, იმდენჯერ ჩაიშლება სხდომა?

– რა თქმა უნდა! მე ვერ დავჯდები მასთან ერთად. რანაირად ვილაპარაკო პუწი-პუწიზე, როცა ეს კაცი იქ იჯდება. რამდენი კუხიანიძე იქნება სხდომაზე, მას აუცილებლად ექნება დისკომფორტი.

რეალობა რა არის, ხომ ყველამ ნახა, ხომ ამბობს „ოცნება“, რომ ემიჯნება კუხიანიძეს და ფიზიკურადაც კი იცავს. ეს როგორ გადითარგმნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რუსეთში ან დანარჩენი მსოფლიოში? თემა იქნება შემდეგი, რომ „ოცნებამ“ დაიცვა ის დეპუტატი, რომელიც ოკუპანტს ოკუპანტს არ უწოდებს და გმირს პროვოკატორს ეძახის.

აი, ეს იქნება მთავარი მესიჯი. აბარებენ ანგარიშს რუსეთს, თუ ყოველდღე როგორ იცავენ პატარა გავრილოვს საკრებულოში და მეტიც, მზად არიან, ფიზიკურად გაუსწორდნენ იმას, ვინც ამ ფაქტს გააპროტესტებს.

აი, სერიოზურო რეალობა ეს არის.

– სერიოზულ ფიზიკურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი...

– მე რომ ხელს ვიქნევდო, ან ფეხს და ვჩხუბობდი, ლეონი, აქტიურ საქმიანობას ვწვევო და არ უნახავს არავის. უკაცრავად, მაგრამ როცა თავს დამესხმებიან ასეთი ლანირაკი მონები, თავის დაცვა ნამდვილად შემიძლია!

ნინია კაკაბაძე: „შეუძლებელია, კახა ბაქაურიის მიმართ კითხვები არ გიჩნდებოდეს“



იაგო ნაცვლიშვილი

„ოცნება“ რუსეთში არსებულ კანონებს ვერ გადმოიღებს და ცენზურას ვერ დაანესებს“

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ქოლგის ქვეშ იქნება ახალი ვებპლატფორმა, რომელიც მედიაკრიტიკის მიმართულებით იმუშავებს. აღნიშნულ მედიაპლატფორმაში ისეთი ფიგურები არიან, რომლებიც ხშირად „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ პოზიციონირებენ – ია ანთაძე, შორენა შავერდაშვილი, ზვიად ავალიანი და სხვები. ამან საზოგადოებაში გააჩინა ცნარაუდი, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ცენზურის დაკანონებას ცდილობს.



ეს ვარაუდი კიდევ უფრო გამძაფრდა რეგულაციების შესახებ ირაკლი კობახიძის განცხადების შემდეგ.

– ჩვენ გვაქვს ინიცირებული კანონპროექტების პაკეტი, რომელიც ეხება სწორედ დეზინფორმაციის თავიდან აცილებას.

ამაზე მჯუღლობა გაგრძელდება. მარტო ფეისბუქი ხომ არ არის პრობლემა? პრობლემა ასევე თუნდაც სატელევიზიო და ნებისმიერი სხვა სივრცე, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ვრცელდება დეზინფორმაცია და აგრესია. დეტალებში შევალთ, ვიმსჯელებთ ამ საკითხებთან დაკავშირებით, – თქვა ირაკლი კობახიძემ.

ხომ არ არის ცენზურის დაკანონების მცდელობა ხელისუფლების მხრიდან და უნდა აღვიქვათ თუ არა ეს არჩევნების კონტექსტში მიღებულ გადამწყვეტილებად? – ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პუბლიცისტი ნინია კაკაბაძე საუბრობს.

– შეიქმნა ახალი პლატფორმა, სადაც ჟურნალისტებს უნდა შეგვიფასონ მედიაპროდუქტი, როგორც ეს მათ დააანონსეს. ეს ყველაფერი კი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ქოლგის ქვეშ ხდება. ცენზურის დაკანონებისკენ ხომ არ დგამს ნაბიჯებს სახელმწიფო?

– არ ვიცი. სიმართლე გითხრათ, ამ ეტაპზე გამიჭირდება ასე პირდაპირ ვთქვა ის, თუ რას უნდა მოემსახუროს სინამდვილეში ეს ახალი ვებპორტალი. ამას ჯერ ვერ ვიტყვი და არც მინდა, ასე პირდაპირ ვთქვა, რომ ცენზურის დაკანონებისკენ მიდის. არა მგონია, ამდენი რამე მოასწროს „ქართულმა ოცნებამ“, ვინაიდან, როგორც ვხედავთ, მას არცთუ ისე დიდი დღე უწერია.

მაგრამ მე მაინც მგონია, რომ რალაციანობა იმის მცდელობაა, რომ ამ მიმართულებით წავიდნენ. ერთი არის ის, რომ არსებობს ვებგვერდი „მედია ჩექერი“ და ამის ალტერნატივა შექმნა და, ამასთანავე, ადამიანებს კიდევ უფრო საფუძვლიანად გამოუჩინებოთ ტვინი.

– ირაკლი კობახიძე ე.წ. ტროლებისა და ბოტების თემაზე აცხადებს, რომ მედიაზე უფრო ჯანსაღი უნდა გახდეს. არ შეიძლება, ვილაყამ ვილაყას აგინოს და ა.შ. კობახიძე ალბათ არცაა რაღაც რეგულაციების შემოღებაზე. ეს როგორ უნდა გავიგოთ?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ოსნება“ ნაციონალური დროს მოხსნა და ნაწილობრივ გააქრობა



ნათია სურცილაძე

კახა კოჭორიძე: „ორპარტიულ დაპირისპირებას ჩვენ შევცვლით“

„ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი კახა კოჭორიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო კახა, „ლელო საქართველოსთვის“ სხვადასხვა პოლიტიკური პლატფორმისა თუ პოლიტიკური ორიენტაციის პარტიებს აერთიანებს. ეს ეკლექტურობა ხელს ხომ არ შეგიშლით?

– პირიქით, ეს არის ჩვენი ძლიერი მხარე. იმ რეალობაში, რაშიც დღეს ჩვენი ქვეყანაა, უმწვავერი რეალობის ფონზე, სახელმწიფოებრივად მოახლოვნი პოლიტიკოსები განმასხვავებელ ნიშნებს კი არა, გამაერთიანებელ იდეებს ეძებენ. ჩვენ, სხვადასხვა შეხედულებების მქონე ადამიანებს, გავერთიანებს ის, რომ ქვეყანაში სამართლიანი სასამართლო უნდა იყოს. სამართალდამცავი სისტემა აპოლიტიკური უნდა იყოს. პროკურატურა ნეიტრალური უნდა იყოს.

ეს არც ერთი ჩვენგანისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას. ისეთი სიმძიმის სახელმწიფოებრივი პრობლემები ანუხებს ქვეყანას, რომ შემარცხენი, მემარჯვენე თუ ცენტრისტი ერთ აზრზე ვართ. და საერთოდ, მემარცხენი, მემარჯვენეობა ცოტა დრომოჭმული მგონია.

ახლა სახელმწიფოა ასაშენებელი, ამისთვის ძლიერი საძირკველი და ჭკრი გვჭირდება. მერე, ამ სახლში შეიძლება სხვადასხვა ოთახები იყოს, სადაც სხვადასხვა შეხედულების ადამიანები ერთად იცხოვრებენ.

– არჩევნებში რამდენად შეძლებთ, კონკურენცია გაუწიოთ „ქართულ ოცნებას“?

– „ქართული ოცნება“ უკეთეს შემთხვევაში ერთმანეთსაგან ვერ ასხვავებს პარტიულ და სახელმწიფო ინტერესებს. უარეს შემთხვევაში კი, საკუთარ პარტიულ ინტერესს აყენებს ყველაფერზე მაღლა.

პრაქტიკულად ყველა სფეროში ღრმა კრიზისია. სასამართლო უსამართლოა. პროკურატურა პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელია. ში-

ნაგან საქმეთა სამინისტრო არ არის ზეპარტიული ინსტიტუტია. პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი ჩამოშლილია. მზარდი სიღარიბე, მზარდი ბავშვთა შიმშილიანობა, მზარდი უმუშევრობა, არ არსებობს სფერო, სადაც ღრმა კრიზისი არ ვიყოთ. ამ პრობლემების მოგვარების ნაცვლად, ბიძინა ივანიშვილი მოქალაქეებს საზღვარგარეთ დასაქმებას პირდებდა. ეს მოცემულობა გვაქვს „ქართული ოცნების“ ორი ვადის მმართველობის ფონზე.

– ორპარტიული დაპირისპირება ყველა არჩევნებზე „ქართული ოცნების“ მთავარი იარაღია. რამდენად შეძლებს თქვენი პარტია, ამას დაუპირისპირდეს? ალტერნატივა წარმოიჩინას შეძლებს?

– სწორედ ამ ოპოზიციონერობას განვიხილავთ ჩვენ შესაძლებლობად. სოციალური კვლევებით დასტურდება, რომ ამომრჩევლის 60% გადაუწყვეტელია. ჩვენ სწორედ ამ ამომრჩევლისთვის ვიქნებით ძლიერი ალტერნატივა.

ოპოზიციონერობა დაპირისპირებას აუცილებლად შევცვლით. „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთს კვებავენ. „ქართული ოცნება“ თითქოს ნაციონალურ მოძრაობას ებრძვის, მაგრამ მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ყველაზე ცუდი იყო, შეუცვლელად გადმოიბარა „ქართულმა ოცნებამ“.

მთელი ქვეყნის ნაციონალურ მოძრაობად მოხსენიება წარმოუდგენელი უსინდისობაა. ჩემს საადვოკატო საქმიანობას დღემდე გაგრძელებ და იცით, პროცესებზე რა ხდება?! – ხელისუფლების წარმომადგენლები მოდიან სასამართლოში და ცდილობენ, ხელი დააფარონ ნაციონალური მოძრაობის დროს ჩადენილ დანაშაულებებს. სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება დღეს სასამართლო დარბაზში იურიდიულად აპირებებს წინა ხელისუფლების დროს ჩადენილ დანაშაულს.

ვინ არის დღეს „ქართული ოცნება“? პირველი – ნაციონალური მოძრაობიდან პორტირებული ადამიანები. მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან



ისინი, ვინც აფინანსდნენ ნაციონალურ მოძრაობას: ბიძინა ივანიშვილი, ყოფილი პრემიერი მამუკა ბახტაძე. მესამე კატეგორია, რომელსაც არასდროს არაფერი სანინალმდელო არ დასცდენია ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ, მათ ხმალი მხოლოდ მას შემდეგ იშოშვლეს, რაც ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში დამარცხდა.

– ამ კატეგორიას ვის მიაკუთვნებდით?

– ირაკლი კობახიძის და პრემიერ გახარიას, რომელმაც მხოლოდ 2019 წელს უთხრა ნაციონალურ მოძრაობას, დაგამთავრებთო, მაგრამ 2012 წლამდე მისი ერთი კრიტიკული განცხადებაც კი არ იგუჯვებოდა. მიშა ცხრა ზღვას და ცხრა მთას იქით რომ არის, ახლა იშოშვლეს ამ ძალიან გაბედულმა პოლიტიკოსებმა ხმალი. შეგიძლიათ გადახედოთ და შემიკამათოთ, თუ ვცდებით, „ქართულ ოცნებაში“ მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დარჩა, რომლებიც ბედავდნენ წინა ხელისუფლების დროს ხმის ამოღებას.

– ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა განცხადება გაავრცელა, რომელიც სასამართლო სისტემას ეხება. ასევე საუბარია დემოკრატიის გაძლიერებაზე. თქვენ როგორ აფასებთ ამ გზავნილს?

– სამართლიანი სასამართლოს შექმნას ძალიან ბევრი საკითხი ებმის. ამიტომ, უმთავრესი

ამოცანა არის სამართლიანი სასამართლოს შექმნა და ეს არის ჩვენთვის ნომერ პირველი ამოცანა.

– სამართლიანი სასამართლოს შექმნა როგორ წარმოგიდგენიათ, უზენაეს სასამართლოში ცოტა ხნის წინ დამტკიცებული მოსამართლეების მონაწილეობით თუ მათი გაშვებით?

– მათი გაშვებით! ამას ვამბობ ხაზგასმით. გამორიცხულია, ამ სისტემაში სამართლიანი სასამართლო უზრუნველყოს. როგორ წარმოგიდგენიათ, მოსამართლე, რომელიც 8-9 წლის განმავლობაში უსამართლო გადამწყვეტილებებს იღებდა, უცებ სამართლიან გადამწყვეტილებას მიიღებს?! ამიტომ ისინი სისტემას უნდა ჩამოსცილდნენ.

– უვალოდ არიან არჩეულები.

– ამიტომ არის მნიშვნელოვანი კონსენსუსი, რომელიც არსებობს საზოგადოებაში, პოლიტიკურ პარტიებში, არასამთავრობო სექტორში. საქართველოში არსებობენ მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი იურისტები, რომლებიც დააკომპლექტებენ სასამართლო ხელისუფლებას.

„ქართულმა ოცნებამ“ უზენაეს სასამართლოში კლანი იმიტირე კი არ დანიშნა უვალოდ, რომ სხვა არჩევანი არ ჰქონდა, არამედ იმიტირე, რომ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი არ სჭირდება.

ხელისუფლებას სჭირდება მოსამართლე, რომელიც პოლიტიკურ დაკვეთას შეასრულებს. სწორედ ასეთები გააშენეს ახლა უვალოდ. ეს იქნება მტკივნეული პროცესი, თუმცა აუცილებელი.

ქირურგიული ჩარევის გარეშე ვერანაირი ტალღები ამას ვერ უშველის.



შეშინა

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ ნიგნებს და ფაიფურს.

ტელ: 598-43-98-57

„ოცნების“ განცხადებაზე ალარს მაჰინაბა“

თორნიკე შარაშენიძე: „დიქტატურის რესურსი ხელისუფლებას არ აქვს“

ნონა ცაბაძე

დასავლეთისა და „ქართული ოცნების“ ურთიერთობის შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

– **ბატონო თორნიკე, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა ჩვენთან სხვადასხვა-ნაირად გაიგეს. უზარია ოპოზიციასაც და პოზიციასაც. ხელისუფლება ამბობს, შეგვაქო ამერიკამო, ოპოზიციასაც აცხადებს, უმწვავესი დასკვნააო. რეალურად რა გვითხრა ამერიკამ?**

– ვინც ინგლისური იცის, ძალიან კარგად გაერკვევა, რაც ხდებოდა. არ უნდა ამას დიდი ფილოსოფია. „ოცნებამ“ საერთოდ მოჭრა ტექსტი და ისე გაუშვა. მართო პირველი ნახევარი გაუშვა და ამით ყველაფერი ნათქვამია. მეორე ნახევარი არ ესაიძვნათ, მაგრამ ხომ არ აღიარებენ არასოდეს, რომ რაღაცას არასწორად აკეთებენ.

– **თქვენ რა ამოიკითხეთ ამ დასკვნაში?**
– საკმაოდ კრიტიკული განცხადებაა. დიპლომატიური ენით საკმაოდ კრიტიკულია. მართლმსაჯულების სისტემას დააყენეთ საშველი, პირდაპირ ეუბნებიან. პოლიტიკური ნიშნით დევნაზე საუბარი დიპლომატიური ენით.

– **პირდაპირ უთხრეს, პროკურატურა პოლიტიზირებულიაო.**

– დიას, ამაზე მეტი რა უნდა ეთქვას?! პოლიტიკური ნიშნით დევნაზე საუბარი. ეს არის და ეს. ესენი კი აფრიალებენ პირველ ნაწილს.

– **სადაც სასამართლო სისტემაზე საუბარი. წარმატებულს უწოდებენ მეოთხე ტალღას. არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია, რაც სასამართლოში ხდება?**

– რაღაცაში ხომ უნდა შეეკოთ. ძალიან ნეგატიური დასკვნა რომ არ ყოფილიყო, ჯერ შეაქვს და მერე წამოვიდა შენიშვნები. როგორც ნესი, ყველა შეფასება ასე იწყება.

– **თქვენ რა გზავნილები ამოიკითხეთ ამ დასკვნაში?**



– ეს მთლიან კონტექსტში უნდა განვიხილოთ, მართო ეს დასკვნა არ არის. ამას უძღვება წინ სტატია და ფეისბუქის სკანდალი. ეს ყველაფერი, როგორც ერთი მთლიანობა, ისე უნდა განვიხილოთ.

– **როდესაც მეორე ვადას ასრულებდა საქართველოში ხელისუფლება, სწორედ მაშინ აქტიურდებოდა დასავლეთიც. ასე იყო წინა ორ შემთხვევაში. იგივე შემთხვევები დაიწყო ახლაც?**

– ჯერ აძლევენ მანქანას მსგავსი განცხადებებით, რომ თვითონ გამოფხიზლდნენ და როცა არ ფხიზლდებიან, მერე ერევიან საქმეში. ამათ გამოფხიზლების არაფერი ეტყობათ.

– **რა გამოფხიზლებაზე საუბარი, აფრიალებენ დასკვნის პირველ ნაწილს და რა მაგრები ვართო, გაიძახიან.**

– დიას, არ ფხიზლდებიან და დააბრალონ თავის თავს. ძალაუფლებამ ნარკოტიკით თრობა იცის. ამ თრობიდან გამოფხიზლება არ უნდათ.

– **ჩეროვლიშვილმა გააყალბა სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა და სიტყვები ჩაამატა შიგნითო.**

– რატომ, კაცო, ლექსიკონი არა აქვთ?! ბოლოს და ბოლოს ინგლისური თუ არ იციან, ლექსიკონიდან მაინც თარგმნონ. დასკვნა არის საკმაოდ მწვავე.

– **სიტყვა კატეგორიულზე იდავეს ძალიან დიდხანს.**

– რა მნიშვნელობა აქვს ამას, სწორედ ეს არის კომიკური.

– **მიიღებს ზომებს ივანიშვილი?**

– არ მჯერა, სამწუხაროდ, რომ რამეს შეცვლის და გაითვალისწინებს. გარემოცვა ისეთ რალაცებს უხადავს და ისეთ სისულელებებს ეუბნება, რომ არ მგონია, გამოასწოროს რამე.

– **ინფორმაციულ ვაკუუმში და გარემოცვის ტყვეობაშია?**

– ხომ ნახეთ, კოკა ყანდიაშვილმა თავის გამარჯვებად გამოაცხადა ეს განცხადება და ამის მერე ალარ გამიკვირდება არაფერი. კომიკურია მისი ქმედება. იმის მერე, რაც ყანდიაშვილი ტროლობაში ამხილეს, უარესი ტროლობა ჩაიბნინა. ფოტოშოპით გააყალბა ფოტო, ვითომ ცუკერბერგის გვერდზე ზის. ამის მერე საერთოდ რაზეა საუბარი.

– **ფეისბუქსა და ვებზე რას იტყვით?**

– სამი პუნქტი ჩამოვთვალეთ და ეს იყო ყველაზე მძიმე დარტყმა. ეს იყო საქმე და არა ლაპარაკი, არა ზოგადი განცხადება. ანგარიშები დაუხურეს და დააბრალებს პირდაპირ ანტიამერიკული პროპაგანდა.

– რაც არ უნდა იშვირონ ხელი აქეთ-იქით და ნაცებს აბრალონ, რეალობა ნათლად გამოჩნდა. რეალობას ყველა ხვდება. ესენი ვის ბტყუებენ, ჩემთვის გასაკვირი. თავიანთი ამომრჩეველი თუ პტონათ ეგეთი ბრიყვი, მე მგონი, აქაც ცდებიან. ისეთ განცხადებებს აკეთებენ, რომ უკვე ალარც მეცინება.

– **საბოლოოდ რას მივიღებთ? მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლება დასავლეთი?**

– ასეთ დროს ორი გზაა, ქვეყანა ან დასავლეთს ჩაეხსნება და ქმნის დახურულ დიქტატორულ რეჟიმს, ან დაემორჩილება. დახურული რეჟიმის შექმნა ძალიან რთული იქნება. თუ გინდა, რომ დიქტატურა შექმნა, მოსახლეობის ნახევარი

ვარი მაინც მხარს უნდა გიჭერდეს. მხარს რომ გიჭერდეს, ეს ნაწილი კმაყოფილი და მაძლარი უნდა გყავდეს. აქ კი კმაყოფილი და მაძლარი არის ძალიან ცოტა. დაახლოებით მოსახლეობის 4% და ამ 4%-ის იმედზე ვერ იქნება.

– **საქმეც ესაა. რუსეთმა თუ შეძლო, ის რუსეთი და უზარმაზარი რესურსი აქვს. იქ ნახევარზე მეტი ნორმალურად ცხოვრობს.**

– **რა გზას დაადგება „ოცნება“?**

– მივიღებთ ხელისუფლების დიდ აგონიას. ერთი წელი დარჩათ კიდევ და ბევრ სისულელეს ჩაიდენენ კიდევ. შეიძლება 2020-მდე ვერც კი მიაღწიონ. ხომ ვუყურებთ, რაც ხდება, ივნისის მერე შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. ყველა კრიტიკული შეტყევისას უშვებენ სერიოზულ შეცდომას, იმიტომ, რომ სისტემა არის არაჯანსაღი, იმიტომ, რომ არაპროფესიონალებით არის სავსე ხელისუფლება.

– **ალარ ექნება რაიმე სვლა ბოლოსთვის შემონახული ივანიშვილს?**

– მან თავისი ბოლო კადრიც გამოაგდო და ეს კადრია გასარია. მართო ამ ერთი კაცის იმედზე თუ არის, მაშინ ძალიან მძიმედ აქვთ საქმე.

– **ნავა ვაბანკზე თუ დაჰყვება ამერიკას?**

– შეეცდება, გარიგებაზე წავიდეს. დაარწმუნოს რალაც-რალაცებში. ამას ცდილობს ახლა.

– **კერძოდ?**

– დაარწმუნოს, რომ მასზე უკეთ ამ ქვეყანას ვერაფერ გაუძღვება, რომ მიშას ისევ ის ჯობია. აი, ამის მცდელობა აქვს.

დასავლეთი კი ეტყვის, ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა. ამიტომაც არჩევნები უნდა ჩაატარო სამართლიანად, ქართველი ხალხი დაგიჭერს მხარს, კი ბატონო, არ დაგიჭერს და უკაცრავად. ამერიკა მხარს დაუჭერს იმას, ვისაც ხალხი უჭერს. მორჩა, ამითი ყველაფერი ნათქვამია!

არჩევნებს თუ გააყალბებენ, ძალიან ძვირი დაუჯდებათ.

წინა კაპაბაძე: „შეუძლებელია, კახა ბაქაური მიმართ კითხვები არ მიჩნდებოდეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ეს გაცხადებით უფრო სერიოზული და საშიში საფრთხეა. ესეც შეიძლება ისე გაგვიტოლო, რომ რაღაც რეჟულაციები შემოვიდეს, ისეთი, რომელიც შემდეგ უკვე დაარეგულირებს ჩვენს ქვეყანას და მეტყველებას შეიძლება. ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც ჟურნალისტების, ასევე რესპონდენტებისაც, ვინც მედიის საშუალებით გადმოგვცემს ამა თუ იმ ინფორმაციას, მაგრამ, დიდი იმედი მაქვს, რომ დასავლეთი ამას არ დაუშვებს. დასავლეთი, რომელიც ჩვენ თვალს გვადევნებს და მას უკვე ეჭვებიც აღარ გააჩნია იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართულ ოცნებას“ ახლოსაც კი არ გაუშვია დემოკრატიულ ფასულობებთან. იმედი მაქვს, რომ მათი დახმარებით ჩვენ შევძლებთ ამ საფრთხის თავიდან აცილებას.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ძალიან დიდი იმედი მაქვს, ეს არ მოხდება ამ პარლამენტის პირობებში, სადაც უმრავლესობა გააჩნია არადემოკრატიულ და პრორუსულ მთავრობას. ვფიქრობ, მათ დიდი დღე არ უწერიათ და ვერ მოასწრებენ მსგავსი მახინჯი კანონების მიღებას, ისეთი კანონებისა, რომლებიც სწორედ რუსეთში არსებობს.

– **მხოლოდ დასავლეთის იმედზე ვართ და ჩვენ, საზოგადოებას, არაფერი შეგვიძლია, რომ რაღაცა შეცვალოთ და რაღაცას წინ აღუდგეთ?**

– არა, ეს ასე არ არის. შეგვიძლია და შევცვლით აუცილებლად, იმიტომ, რომ როდესაც დასავლეთმა ასე მოგვაქცია ყურადღება, ესეც ჩვენი და საზოგადოების დამსახურებაა. აქამდე რაც

ხდებოდა, გარკვეულწილად ჩვენი ინერტულობის ბრალიც იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია და ყველაფერს ხალხი გააკეთებს. პირველ რიგში, ხალხზე ბევრი რამე დამოკიდებულია.

– **როცა ესაუბრებოთ იმ პლატფორმაზე, სადაც ძირითადი ბირთვი სწორედ იმ ადამიანებისგან შედგება, რომელთა მიმართაც არსებობს კითხვის ნიშნები, თქვენ არ გიჩნენთ მათი იქ ყოფნა კითხვებს?**

– მიჩნეს, რა თქმა უნდა, კითხვებს მიჩნეს და, რაც ყველაზე მთავარია, ის არის, რომ რაც კეთდება კახა ბექაურის ხელით, წარმოუდგენელია, ამის მიმართ არ იყო სკეპტიკურად განწყობილი და ბევრი კითხვის ნიშანი არ გიჩნდებოდა.

მიწვეული ადამიანების დასახელება კითხვის ნიშნებს მიჩნეს და, იცით, რატომ? ჯერჯერობით „ქართული ოცნების“ კრიტიკულად განწყობილი ერთი ადამიანიც კი არ ჰყავთ, წამლად რომ გინდოდეს, ასეთს ვერ იპოვო.

ეს ვებპორტალი იქნება ტენდენციური, მაგრამ, ვნახოთ, რამდენად იქნება ასე. საერთოდ, ვერ მივხვდი, რა ტიპის მასალა უნდა დაბეჭდონ, რა ტიპის მასალა უნდა გააკეთონ, იმიტომ, რომ რაც ვებგვერდზე შევიხედო და უკვე არსებული მასალების საფუძველზე რომ ვიმსჯელო, ცოტა სუბურულია და გაუგებარია, რა უნდა ამ ვებპორტალს და რა მიზნები აქვს. ერთი სტატია, რომელიც წავიკითხე, უკვე ძალიან არაკვალიფიციურია. დანარჩენი სტატიებიც ძალიან ზედაპირულია. არ ვიცი, ვნახოთ, რას იზამენ მომავალში.

– **ეს ყოველივე არჩევნების კონტექსტშიც ხომ არ უნდა გავიგოთ?**

– რა თქმა უნდა, არჩევნების კონტექსტშიც არის და „ქართული ოცნების“ მცდელობაც, რომ შეინარჩუნოს ძალაუფლება. შეიძლება, ესეც ერთ-ერთი წვეთია ზღვაში, მაგრამ – ძალიან მნიშვნელოვანი. ვნახოთ. არ მიფიქრია, რომ ამან შეიძლება რაღაცა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს იმგვარად, რაც დაეხმარება „ქართულ ოცნებას“ ძალაუფლების შენარჩუნებაში.

– **დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ტელეკომპანიების დავალიანებების საკითხზეც. როდესაც გვეცხადებენ ამას და მოუწოდებენ ტელევიზიებს ვალების გადახდისკენ, მაგრამ არაფერი ისმის „იმედის“ პოლიტიკაში შემავალი ტელევიზიების დავალიანებებზე, რისკს ხომ არ აჩენს, რომ რამდენიმე ტელევიზია წინასაარჩევნოდ შეზღუდონ?**

– ამ საკითხში, რაც ეხება ბიუჯეტის დავალიანებების საკითხებსა და გადასახადებს, მე წამდვილად არ ვარ ბოლომდე კომპეტენტური, მაგრამ, რამდენადაც ვუსმენ ჩემს კოლეგებს, რომლებიც სხვადასხვა ტელეკომპანიას წარმოადგენენ, ისინი საუბრობენ არათანაბარ რეჟიმზე სხვა ტელევიზიებთან შედარებით.

როდესაც შერჩევითი სამართალია, ეს აჩენს ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს მაინც, თუ არა პირდაპირ მითითებას იმაზე, რომ შეინიშნება შეიძლება დაინდო, ხოლო იმათ, ვინც დისკომფორტს გიქმნის, მოსთხოვო რაღაცა გადასახადი.

ამიტომ, ცხადია, ესეც შეზღუდვის ერთ-ერთი საშუალებაა.

„ოცნებასა“ და ოპოზიციას ვაშინგტონიდან სილა გააწვანა“

მირიან მირიანაშვილი: „რუსეთთან კავშირებს ყველას გამოუჩნდება, მათ შორის ფსევდოდასავლურ ოპოზიციას“

მარიამ მჭედლიშვილი

რა კავშირი აქვს ბოტებისა და ტროლების საქმიანობასა და მათ დაბლოკვას დიდ პოლიტიკასთან? – ამის შესახებ „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

მირიან მირიანაშვილი:

– ხდება ის, რაზეც დაახლოებით ორი წელიწადია, ესაუბრებო. აშშ აქტიურდება რეგიონში. ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს პროცესი გაძლიერდებოდა 2019 და 2020 წლებში, არჩევნებამდე რამდენიმე თვის წინ კი პოკს მიაღწევდა. ამერიკა რეგიონში უკვე სხვა როლს თამაშობს. ვაშინგტონმა თავისი გაიტანა თურქეთში. სტამბოლში, ადგილობრივ არჩევნებში პუტინთან დამეგობრებულ ერდოღანს რუსეთმა დაახმარა პოლიტიკური გეგმების მთელი არმია დსთ-ის სივრცეიდან. ამის მიუხედავად, ერდოღანის მერობის კანდიდატი დამარცხდა. ეს ერთი მაგალითია. საქართველოში მიმდინარე პროცესები ვერ გაიაზრეს.

– **რატომ?**

– საქართველოს პოლიტიკის უდიდესი უმრავლესობა რუსეთზეა დამოკიდებული. ასევე თვალმისაცემია პოლიტოლოგებისა და ანალიტიკოსების ზღვარგადასული არაინფორმირებულობა. ეს პოლიტოლოგები ყოველდღე საქმიანობენ, კომენტარებს აკეთებენ, გამოთქვამენ პროგნოზებს, მაგრამ რად გინდა! სიმართლეს არაეინ ამბობს. ამ ხალხს კომპეტენცია არ ჰყოფნის და არც სიმამაცით გამოირჩევა. ბევრი მათგანი რუსულ შეკვეთებს ასრულებს.

– **ფეისბუქსა და ვებზე რას იტყვით?**

– ესეც პოლიტიკის ნაწილია. ესეც, წინა

განცხადებებიც და სახელმწიფო დეპარტამენტის მომართვაც ერთი ცენტრიდან მონერილი წერილია. ივანიშვილის ხელისუფლებას, ასევე მასთან გარიგებულ ოპოზიციას ვაშინგტონიდან სილა გააწვანეს. რუსეთის მიმართ აშშ-ის სანქციები რამდენიმე წელია, მოქმედებს. ამერიკა რუსეთთან კავშირების გამო შეზღუდვებს უწესებდა სხვა სახელმწიფოებსაც, ანუ მესამე ქვეყნებს. კავკასიას ერიდებოდნენ და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები აქამდე სანქციებში არ მოუხვედრებოდა.

– **ახლა სიტუაცია შეიცვალა?**

– ახლა სხვა ეტაპი დადგა. სანქციები რეალურია საქართველოსთვის. ალბათ, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ალიევსაც არ ასცდება სანქციები. ისინი გავრცელდება ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა და ინსტიტუტებზე.

– **რუსეთთან კავშირებში მხოლოდ ხელისუფლებაა შემჩნეული?**

– რუსეთთან ბევრი ვინმეა გარიგებული. საქართველოს პოლიტიკური სექტორი რუსეთიდან იმართება. რუსეთთან კავშირებს ყველას გამოუჩნდება, მათ შორის, ფსევდოდასავლურ ოპოზიციას. ზოგიერთ პოლიტიკურ ლიდერს რუსეთის სადაზვერვო სკოლა აქვს გავლილი.

სილის განცხადებები ივანიშვილი იღებდა კულუარულ გზავნილებს. ფარულმა დიპლომატიამ არ გაჭრა. ვაშინგტონი უკვე ღიად მოქმედებს. წინასწარ ვიცოდი, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ამირებდა განცხადების გაკეთებას საქართველოზე. ველოდებოდი შინაარსს. განცხადებაში სხვა საკითხებზეც არის საუბარი. მთავარი კი ის არის, ძალოვნები არ უნდა ჩაერიონ პოლიტიკაში და „ქართულმა ოცნებამ“ არ უნდა გამოიყენოს ადმინისტრაციული რესურსი.

– **ადმინისტრაციული რესურსი საარჩევნო**



ნოდ უნდა გამოეყენებინათ?

– რასაკვირველია. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების გეგმა სწორედ ახლა მუშავდებოდა.

– **რას უნდა ველოდოთ ხელისუფლებისგან ამ გზავნილების შემდეგ?**

– ზიძინა ივანიშვილისგან თავისი საქმიანობის კორექტირებას არ მოველი. ის განიცდის რუსეთის ზეგავლენას. ბოლო დროს ივანიშვილი ორცეცხლზეა იმყოფებოდა – ერთი მხრივ, აშშ მისგან მოითხოვდა სტაბილურობას, მეორე მხრივ, რუსეთი აიძულებდა დესტაბილიზაციას. ამავე რუსულ სექტატაში მონაწილეობდა თითქმის მთელი ოპოზიცია. ამ სიტუაციაში მოსალოდნელია ხელიისუფლებისა და მასთან აფილირებული ოპოზიციის სისტემური კრიზისი. შესაძლებელია ხელისუფლების ჩამოშლა. კვანძი უახლოეს ხანში გაიხსნება.

– **პოლიტიკური არეულ-დარეულობაც იქნება?**

– ხელისუფლება და ოპოზიცია ახალ რეალობაში აღმოჩნდნენ. ისინი ერთად მონაწილეობდნენ რუსულ სცენარში. მისი მიზანი იყო ერთი

ძალის მეორით ჩანაცვლება. ვაშინგტონის ჩარევით, სცენარი ჩაიშალა. მათ და მათ რუს დირიჟორებს ამ წუთში იმ გეგმის ალტერნატივა არა აქვთ. ამის გამო იღებენ ოპერატიულ პაუზას და წვრილ-წვრილ საკითხებზე იაქტიურებიან.

– **აშშ-ში ხელისუფლების დელეგაციაც იმყოფებოდა და ოპოზიციისაც. ორივე ტრამპობს იქ მიღწეული წარმატებით.**

– რუსული პოლიტიკური თეატრის ორივე მონაწილე მსილებულია. მათი ვიზიტებიც ჩაფლავდა. ადრე რუსული პოლიტიკური თეატრი წარმატებით მუშაობდა, იმიტომ, რომ ვაშინგტონი ამას ნაუყურებდა. ამჟამად ქართულ-ამერიკული ურთიერთობები ახალ ეტაპზეა.

აშშ-ში აქვთ სრული ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე. ბევრ რამეს ამერიკელები ჩანასახშივე იგებდა და ყველაფერზე მომენტალურად რეაგირებენ. თუ ადრე რეაგირება დაგვიანებით ხდებოდა, ახლა ეს უსწრაფესია. ვაშინგტონმა სილა გააწვანა საქართველოს ხელისუფლებას, დაადასტურა ის ანტიამერიკული რესურსების გამოყენებაში, ჩაუშალა მას უკანონო რეჟიმები.

მასთან ერთად ამხილა ენ. ოპოზიცია. განსაკუთრებული ფასიკო განიცადა ბოკურამ და მისმა „ევროპულმა საქართველომ“. ეს ხალხი ამერიკაში ცდილობდა ამერიკელების დათანხმებას რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე. „ოცნებიდან“ ბოკურისა გუნდზე ძალაუფლების გადაბარება უნდა მომხდარიყო რიგგარეშე არჩევნების გზით. ვაშინგტონი ამ რუსულ გეგმას არ დასთანხმდა. რუსული პოლიტიკური თეატრი, რომელშიც ზოგიერთი მედასავლეთის როლს ასრულებდა, დაშლილია.

მოსალოდნელია სისტემური კრიზისი.



„კალაქი ოპოზიციის ლიდერი გახდება“ მამუკა ტუსკაძე: „პოზიცია და ოპოზიცია „ქართულ ოცნებაშივე“ ჩამოყალიბდება“



გულიკო ბალაძე

ქვეყანაში არსებულ ვითარებას „ახალ თაობასთან“ პოლიტიკური ორგანიზაცია „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი და უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე აფასებს.

– **ბატონო მამუკა, ბოლო დროს ვითარება დაძაბულია, ამას ემატება თვითმკვლელობები, ადამიანებზე თავდასხმები. თქვენი შეფასებით, რა ხდება?**

– ყველაფერი, ერთი შეხედვით, რაც ქვეყანაში ხდება, თითქმის ხელოვნურია. ფაქტურად შედეგით დამთავრებული ტრაგედიები რომ არა, ადამიანი უპირობოდ იფიქრებდა, რაც ბოლო დროს დატრიალდა, ყველაფერი ხელოვნურადაა ინსპირირებული.

– **თქვენ ხელოვნურობაზე რატომ საუბრობთ? შეიძლება ხელოვნურადაც იმაზეც სიტუაცია, მაგრამ მას ემატება მძიმე ფონი და ტრაგედიები.**

– ხელოვნურობაზე იმიტომ ვსაუბრობ, პოლიტიკური ორგანიზაციები და მათი აქტივისტები, რომ მომხდარ ტრაგედიას აპირისთვის იყენებენ. მათთვის მომხდარი ტრაგედიები ჩვეულებრივი სტატისტიკა და სააქციო თემაა. ამიტომ არის ეს ძალიან ცუდი.

თუმცა, საქართველოში მართლა რაღაც ხდება ისეთი, რომელიც სახელმწიფომ, ხელისუფლებამ, პოზიციამ თუ ოპოზიციამ ვერ ვერ ამოხსნა.

– **რას გულისხმობთ?**

– ადამიანები გაბოროტებული არიან, შესაძლებელია გარკვეული სოციალური ან არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ან კიდევ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის, ასევე ე.წ. ჯანმრთელობის ჩაფლავებული წარმატებული რეფორმის, არასაკმარისი კვალიფიკაციის, ან არასაკმარისი განათლების გამო. ამ ყველაფერმა ერთიანად შექმნა უარყოფითი აურა.

ამას ემატება ისიც, რომ სოციალური ქსელის გავრცელება. უპირველესად ფეისბუქს ვგულისხმობ. არც ერთ ევროპულ ქვეყანაში იმდენი მომხმარებელი სოციალურ ქსელს და ფეისბუქს არ ჰყავს, რამდენიც საქართველოში. ეს არის ჩვეულებრივი სტატისტიკა და ფაქტი. სოციალურ ქსელში უამრავი უარყოფითი აურის ინფორმაცია ვრცელდება. შესაბამისად, საზოგადოებაზე დამუხტული და დაზაფრულია. ამიტომ ვიღებთ მძიმე შედეგებს.

უარყოფითის კარგად გაპირება ხდება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ის ახალგაზრდა, რომელმაც თავი მოიკლა. მის გარდა, კიდევ ორმა მოიკლა თავი, სხვადასხვა რაიონში. შემდეგ ბავშვებს უნდათ „გმირობა“, პოპულარობა, იგივე ლოგიკით, რაც მართლა არაჯანმრთელ ვითარებაზე მიუთითებს. ამიტომ დღეს სახელმწიფოში მართლა არაჯანმრთელი მდგომარეობაა.

ბაა. ეს პოლიტიკური კუთხითაც რაღაცას მოასწავებს. შეიძლება დასასრულის დასაწყისია.

– **რის დასასრულის დასაწყისი შეიძლება იყოს? ოპოზიციის ლიდერები ხელისუფლებას ჯოჯოხეთის ჩვენებას პირდებიან. ამბობენ, რომ ეს ძალა ხელისუფლებაში ვეღარ დარჩება. ეს მხოლოდ მათი გადასაწყვეტია?**

– ვინ დარჩება და ვინ არა, ხალხის გადასაწყვეტია, მაგრამ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისთვის რაღაცნაირად დამკვიდრდა ხელისუფლებაში ყოფნის 8 წელი, ეს პერიოდი შემთხვევითი არ არის გათვლილი. 8 წელი გავიდა, რაც „ოცნება“ ხელისუფლებაშია. „ოცნებას“ ქვეყანა უნიკალურადაც რომ ემართა, მაინც გამოჩნდებოდა განაწყენებული ადამიანი და მაინც დადგებოდა ის დრო, რომ მმართველი ძალა შეცვლილიყო, ან ფორმაცია განცვადდა.

– **რა ფორმაციაზე საუბრობთ?**

– უახლოეს დღეებში მმართველი ძალა განიცდის ფორმაციას და თავად „ქართულ ოცნებაშივე“ ჩამოყალიბდება პოზიცია და ოპოზიცია – ორი ფრთა, რომელიც ერთმანეთს კონკურენციას გაუწევს.

– **როგორც ერთხელ მითხარით, კახა კალაძის „ოცნებიდან“ წამოსვლაა მოსალოდნელი?**

– დიას, მოსალოდნელი კი არა, გადაჯგუფება მომხდარია, როგორც პარლამენტში, ასევე საკრებულოში და ძალიან მალე გაიყოფა. ეს დამოკიდებულია იმაზე, რომელი რომელს შეატოვებს მძიმე მდგომარეობაში მყოფ პოლიტიკურ პარტიას, ურეიტინგო პარლამენტს, გახარიას ფრთა და ბიძინა ივანიშვილის ფრთა თუ კახი კალაძის ფრთა.

– **„ოცნებაში“ სამი ფრთაა? ბიძინა ივანიშვილი ცალკეა, გახარია ცალკე და კალაძე ცალკე?**

– არა, ბიძინა ივანიშვილის ფრთაა გახარიას ფრთა. ბიძინა ივანიშვილსა და კახა კალაძეს შორის კარგი ურთიერთობა არ არის. უამრავი შემთხვევა იყო, სადაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა კალაძისთან ერთად და ხელის ჩამორთმევასაც კი არ ჰქონია ადგილი. მათ შორის, ურთიერთობები უკვე გაცივებულია. ყველა პირობა შექმნილი იმისთვის, რომ კალაძე ოპოზიციის ლიდერი გახდეს.

– **შეგნებულად ხომ არ ხდება „ოცნებიდან“ ოპოზიციის გამოჩენა?**

– შესაძლებელია შეგნებულად ხდება. მისივე გუნდში აღმოცენებული ოპოზიცია ბიძინა ივანიშვილისთვის უფრო ადვილად მართვადი იქნება. გარდა მაგისა, მძიმე სოციალ-ეკონომიკური და კრიმინალური მდგომარეობაა. ურეიტინგო სასამართლო და პარლამენტი. საპატრიარქოს რეიტინგიც დასცეს. ყოველივე ამას ხელისუფლების სუნი უდის. შესაბამისად, ძალიან მალე დაიწყება ამ ყველაფრის გამოხსნა.

– **როგორ უნდა მოხდეს გამოსწორება? დღეს ისეთი აურაა შექმნილი, რომ ოპოზიცია რევოლუციის გეგმისწარმეტყველებს. უარესი მდგომარეობა იყო სააკაშვილის დროს, მაგრამ ოპოზიცია რევოლუციაზე არ საუბრობდა.**

– ნინო ბურჯანაძე და სხვები რევოლუცი-



საქართველოში მართლა რაღაც ხდება ისეთი, რომელიც სახელმწიფომ, ხელისუფლებამ, პოზიციამ თუ ოპოზიციამ ვერ ვერ ამოხსნა

აზე იმიტომ საუბრობენ, რომ მხოლოდ რევოლუციური პროცესებით თუ შეუძლიათ მოვიდნენ ხელისუფლებაში. სხვა გზა მათ არ აქვთ, პროცესები ისე ვითარდება და ისეთი გონიერი პოლიტიკური ტვინი მართავს ამ ყველაფერს.

– **ვინ მართავს?**

– ეს შეიძლება ბიძინა ივანიშვილი იყოს.

სავარაუდოდ, ბიძინა ივანიშვილია. ასეთ ადამიანთან და ასეთ ტვინთან ბრძოლა ძალიან რთულია, პოლიტიკურად მომგებიანი რომ გახადონ, რაღაც ხეირი ნახონ სხვა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა. მით უმეტეს, 32 „ტუფტა“ პოლიტიკური ორგანიზაციის გაერთიანებით და ყოველი ბიძინა ივანიშვილის გუნდში მყოფი ძალიან ვერავითარ ძალას ვერ შექმნის, რომ რაღაც შეცვალონ თუ ახალი ძალა არ გამოჩნდა. ახალ ძალას „ქართული ოცნება“ თავის თავში დაბადებს.

– **ახალი ძალა არ არის, მაგალითად, „ლელო“, რომელთანაც „მეზღვრის მოძრაობა“ და „ახალი მეზღვრელები“ გაერთიანდნენ?**

– მესმის, მაგრამ „ლელოს“ მისი ლიდერების გამო ისეთი რეიტინგის მოპოვება გაუჭირდება, რომ ხელისუფლების სადავეები ხელში აიღონ. ამას დიდი ანალიტიკური აზროვნება არ უნდა. „ლელო“ ხელისუფლების ხელში ალბათ ვერ შეძლებს. ამას ისევე ბიძინა ივანიშვილი შეძლებს, ოღონდ იმ ფორმულით, რაც მე ახლა გითხარით – შიგნითვე, „ქართულ ოცნებაში“ იშობა ძალა, რომელიც შეძლებს ხელისუფლებაში მოსვლას.

– **კოალიციურ გაერთიანებას შექმნის?**

– თუ მისი შედეგი პროცენტულად საკმა-

რისი არ აღმოჩნდება მთავრობის დასამტკიცებლად, იქნებინა ძალები, რომლებთანაც შეიძლება „ოცნება“ ითანამშრომლოს. ბიძინა ივანიშვილის გუნდი არა მარტო „ქართული ოცნება“ იქნება, არამედ ის ძალაც, რომელიც „ოცნებაშივე“ იქნება წარმოშობილი და როგორც ოპოზიციური ძალა, ისე მართავს გარკვეულ პროცესებს და კოალიციაშიც ერთად შეიძლება იყვნენ და მთავრობაშიც.

– **თქვენ რას აკეთებთ? თქვენც ხომ გქონდათ პროპორციული არჩევნების იმედი?**

– მე გამაზღვრელი მაქვს და პარლამენტში შეგვაქვს საკანონმდებლო წინადადება, რომელიც გულისხმობს კონსტიტუციაში ცვლილების გარეშე, 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების მრავლმანდატიან ოლქებად გარდაქმნა. ყოველ ნაბიჯზე კონსტიტუცია არ უნდა იცვლებოდეს.

– **პარლამენტის თავმჯდომარის ახალ შეთავაზებას – 100/50-ზე თანაფარდობას არ ემხრობით?**

– ეს ჩემთვის მიუღებელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას სჭირდება საკონსტიტუციო ცვლილება – არ შეიძლება კონსტიტუცია ვჭრათ და ვკეროთ ვიღაცის პოლიტიკურ გეგმვებაზე, მმართველი ძალა იქნება თუ ოპოზიცია. როგორც იქნა, ცოტა ღირსეული კონსტიტუცია მივიღეთ და არ შეიძლება ყოველი 300 კაცის გამოსვლაზე კონსტიტუციაში ცვლილებები შევიტანოთ.

– **კერძოდ, ვის შეაქვს საკანონმდებლო ინიციატივა?**

– პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ და კიდევ 5 პოლიტიკური ორგანიზაცია.

– **ვინ არიან ისინი?**

– ესენი არიან პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა, დევნილთა პარტია, „ქალები სამართლიანობისთვის“ და სხვები. ჯამში 6 პოლიტიკური ძალა ვერთიანდებით. თუ წინადადების ბედი დადებითად იქნება გადაწყვეტილი, შემდეგ მიეცემა პროექტის სახე.

– **მსგავსი წინადადება ე.წ. გაერთიანებულია ოპოზიციამაც შესთავაზა, მაგრამ მმართველმა პარტიამ უარი უთხრა.**

– ჩვენი წინადადება განსხვავებულია. ხელისუფლებას მხოლოდ 11 მაჟორიტარი ეყოლება.

– **სხვებშიც რომ გაიმარჯვოს?**

– 11 რეგიონში ერთ პარტიას ერთი კანდიდატის დასახელების უფლება ექნება. მაგალითად, 11-ს გაიყვანს ხელისუფლება, ოპოზიციასაც შეეძლება 11 მაჟორიტარის გაყვანა.

– **როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება მაგარიანტზე დაგთანხმდება?**

– შესაძლებელია დავთანხმდეს, რადგან ეს სახელისუფლებო პარტიისთვის მისაღებია.

– **რით არის მისაღები?**

– თუ ხელისუფლებას კონსტიტუციის ცვლილება არ უნდა და ხელოვნურად შექმნილი კრიზისიდან კონსტიტუციის ცვლილების გარეშე გამოძრომა უნდა, ეს უნდა გააცეთოს.



სუსმა სახელმწიფო მალაქიანოსანი ს. ღაბაშვილი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასთან თანამშრომლობით, ქრთამის ალბის ფაქტზე ერთი პირი დააკავა. უწყების ინფორმაციით, ქრთამის ალბის ფაქტზე დაკავებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის VI საარტილერიო ბრიგადის შტაბის „S-3“-ის უფროსი ს.ბ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ს.ბ.-მა საქართველოს მოქალაქეს თავდაცვის სამინისტროში მუშაობის დაწყების, ფიზიკურ

მომზადებაში წონადატვირთის ჩაბარებისა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში საერთაშორისო მისიით მონაწილეობის მისაღებად გამგზავრების სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა 2.500 აშშ დოლარი, საიდანაც წინასწარ გამოართვა 1.000 აშშ დოლარი.

„გამოძიება ქრთამის ალბის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო“, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

ბექა სირაძე: „ლუკა სირაძეს მარიანა ჩოლოიანი ემუქრებოდა, რომ მე შემიქმნიდა პროვოკაციას“

– როდესაც გამოვიდა ჩემი ძმა იმ კაბინეტიდან, ტიროდა, ითხოვა სასწრაფო დახმარება, თუმცა ამაზე გამომძიებელმა განუცხადა, რომ როცა ის სათვლიდა საჭიროდ, მაშინ გამოიძახებდა სასწრაფო დახმარებას.

ამის შესახებ 15 წლის ლუკა სირაძის ძმამ, ბექა სირაძემ, გუშინ, 24 დეკემბერს, გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა.

– დაახლოებით, 4 საათი გრძელდებოდა ეს დავითება და რომ ვერ უმტკიცებდნენ და თვითონ ლუკაც არ აღიარებდა, როგორც ვიცო, დაიძაბნენ. ჩემი ძმაც უკვე საკმაოდ ხმამაღალი ტონით პასუხობდა და ისიც მუქარას აგრძელებდა. ამ დროს ცადა დედა ჩემი ძმის დამშვიდება და ამ პერიოდში, როგორც ვიცო, იქ მჯდომი კიდევ ერთ-ერთი პოლიციელი ადგა და ჩემი ძმა შეურაცხყოფილი ადგა და ჩემი ძმა შეურაცხყოფილი სიტყვებით მოიხსენია, დღის თვალწინ აყენებდა შეურაცხყოფას.

2-3 წუთის შემდეგ კაბინეტიდან მესამე პიროვნება გამოვიდა და ჩემს ძმას უთხრა, რომ მასთან მესულყო. როდესაც გამოვიდა ჩემი ძმა იმ კაბინეტიდან, ტიროდა, ითხოვა სასწრაფო დახმარება, თუმცა ამაზე გამომძიებელმა განუცხადა, რომ როცა ის სათვლიდა საჭიროდ, მაშინ გამოიძახებდა სასწრაფო დახმარებას.

ოთახიდან გამოსვლიდან რაღაც პერიოდის შემდეგ დაიწყო ამ ყველაფრის აღიარება. დედაჩემი რომ ჰკითხა, თუ რა მოხდა იმ კაბინეტში, უპასუხა, რომ მას ე.წ. კაპეზუტი



ემუქრებოდნენ, – განმარტა გარდაცვლილი ლუკა სირაძის ძმა. ბექა სირაძის თქმით, სკოლა მის ოჯახს არ დაჰკავშირებია, შესაბამისად, მისი ძმა და დედა პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში დაიბარეს.

– ეუბნებოდნენ, რომ ლუკა ჩანდა კამერებში. დედაჩემი ითხოვა, რომ კამერების ჩანაწერებს ნახავდა და, თუ თავის შვილს ამოიცნობდა, ზარალის ანაზღაურებაზე პრობლემა არ იქნებოდა, თუმცა დედას უთხრეს, რომ ამის ჩვენების უფლება არ ჰქონდათ. შემდეგ ისევ გაგრძელდა ყვირილი, მუქარა. ეუბნებოდნენ, რომ აღიარებდა, თორემ შენს ძმას სასწავლებელში პრობლემებს შეუქმნითო. ემუქრებოდნენ: „დაგიჭერთ, შენნაირი აქ ათასი მოსულა, ჩაგაყუდებთ“ და მსგავს რაღაცებს ეუბნებოდნენ.

პირველ რიგში, მუქარას იწყებდა მარიანა ჩოლოიანი, რომელიც უშუალოდ იყო ჩემი ძმის საქმით დაკავებული. ის იყო პირველი, რომელიც ჩემს ძმას ემუქრებოდა იმით, რომ მე შემეჭმეობდა სასწავლებელში პრობლემები, ანუ დაკითხა, როგორც კრიმინალი, – გა-

ნაცხადა ბექა სირაძემ.

მისი ინფორმაციით, ლუკა სირაძე პოლიციის განყოფილებაში მშობლის გარეშე მარტო 15-20 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა.

– როგორც ვიცო, დედას დაახლოებით 15-20 წუთი პოლიციის თანამშრომელთან ერთად სახლში წასვლა მოუწია. თუ არ ვცდები, ლუკას მასწავლებლის ნომერი უნდოდათ რაღაცის დასადგენად. შესაბამისად, ეს პერიოდ ჩემი ძმა მარტო იმყოფებოდა.

იმ დღეს რატიმაც არ მოხდა ამ ჩვენების დასრულება და გადაიდო მეორე დღისთვის. მეორე დღეს, თავიდან, როგორც ვიცო, თითქმის ისევ აპირებდა ელიარებინა, რომ ის იყო, მაგრამ შემდეგ ეს ყველაფერი უარყო. ყვირილი, ჩხუბი გაგრძელდა, თუმცა ამის შემდეგ გამოუშვეს სახლში, ანუ რეალურად ვერ დაუმტკიცეს, ის იყო თუ არ იყო.

როდესაც ლუკა გაიქცა სახლიდან, დედაჩემმა, პირველ რიგში, დაურეკა მარიანა ჩოლოიანს და სთხოვა, მოეძებნა მისი შვილი და დახმარებოდა. ამაზე მიიღო უარი. მან უთხრა, შენი მეორე შვილი ჩამოვიდეს გორიდან და იმან მოგიძებნოსო, – განაცხადა ბექა სირაძემ.

ბექა სირაძის განმარტებით, გამოძიებას მისი დედის ახალი ჩვენება სჭირდება, შესაბამისად, ის რამდენიმე დღეში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში კიდევ ერთი ჩვენების მისაცემად აპირებს მისვლას.

აპნ

ქუთაისში მკვლელობისთვის ქაზნილი მ.ზ. ღაბაშვილი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ძებნის სამმართველოსა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ქუთაისში მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის ძებნილი პირი დააკავეს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, დაკავებულია 1969 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევ მ.ზ.

დაკავებულს 2018 წლის 30 სექტემბერს, ქუთაისში, სასაფლაოზე მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ბრალი 2018 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, დაუსწრებლად წარედგინა.

5 ოქტომბერს კი მ.ზ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით, ასევე დაუსწრებლად შეეფარდა პატიმრობა და იმავე დღეს მასზე ძებნა გამოცხადდა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა 2018 წლის 30 სექტემბერს ქუთაისში, სასაფლაოზე, ურთიერთშელაპარაკების დროს „ტტ“-ს სისტემის არარეგისტრირებულ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა 1974 წელს დაბადებული გ.ს.

ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.





ბორის ჯონსონი: „რუსეთთან დაკავშირებით შევხდი“

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ბორის ჯონსონის თქმით, ის შეცდა რუსეთთან მიმართებაში და ახლა ფიქრობს, რომ მოსკოვთან ურთიერთობების გადართობა შეუძლებელია.

— მე მართლა ვფიქრობდი და ბევრი უცხოელი პრემიერი და მდივანი ფიქრობდა, რომ ჩვენ შეგვეძლო ყველაფერი ხელახლა დაგვეწყო რუსეთთან. ეს უზარმაზარი ქვეყანაა, რომელთან ერთადაც ჩვენ ფაშიზმს ვებრძოდით. ძალიან,

ძალიან დასანანია, რომ შევცდი, — განუცხადა ჯონსონმა ბრიტანულ გამოცემას.

ბორის ჯონსონმა რუსეთზე რამდენიმე დღის წინ, ესტონეთში ვიზიტის დროსაც ისაუბრა. მან განაცხადა, რომ მას იმედი ჰქონდა, რომ რუსეთთან ურთიერთობები გაუმჯობესდებოდა, თუმცა ორ სახელმწიფოს „საშინელი პრობლემები აქვს“, რომლებიც მათ დაახლოებას ხელს უშლის.

საბერძნეთში თურქი დიპლომატის მანქანა დაწვეს

საბერძნეთის ქალაქ სალონიკში თურქეთის საკონსულოს თანამშრომლის მანქანას ცეცხლი წაუკიდეს.

თურქეთი საბერძნეთის ხელისუფლებას მოუწოდებს, აღკვეთოს მსგავსი ფაქტები და დამნაშავეები სათანადოდ დასაჯოს.

— ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ ბერძენი ხელისუფლების პირები ყველაფერს გააკეთებენ, რომ მსგავსი ქმედებები თავიდან აიცილონ და იმედი გვაქვს, რომ დამნაშავეები სათანადოდ დაისჯებიან, — განაცხადეს ქვეყ-



ნის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მისივე ინფორმაციით, საბერძნეთში, თურქი დიპლომატიური წარმომადგენლობის წინააღმდეგ მსგავსი ინციდენტები მომრავლდა.

— ჩვენ საბერძნეთის ოფიციალურ სტრუქტურებს მოვუწოდებთ, ებრძოლონ ასეთ პროვოკაციულ ქმედებებს და უზრუნველყონ უსაფრთხოება თურქული დიპლომატიური წარმომადგენლობებისათვის, — განაცხადეს სამინისტროში.

რუსეთში ავიაგამანადგურებელმა კაბასტროფა განიცადა



რუსეთში, ხაბაროვსკში, ავიაგამანადგურებელმა, სუ-57-მა კატასტროფა განიცადა. ინციდენტი აეროდრომთან ძრავის ტესტის დროს მოხდა.

გამანადგურებლის პილოტმა კატაპულტირება განახორციელა.

არსებული ინფორმაციით, კატასტროფის მიზეზი მეზრინავის შეცდომა გახდა.

მამას შვილის ახალი პარსენილოვა არ მოეწონა და სტილისტს ესროლა

ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ კეიტის მკვიდრმა რამდენიმეჯერ ესროლა სილამაზის სალონის თანამშრომელს, რომელთანაც უთანხმოება თავისი შვილის ახალი ვარცხნილობის გამო მოუვიდა.

შაბათს, 21 დეკემბერს, შავკანიან მამაკაცს ჩხუბი მოუვიდა სტილისტთან, რომელმაც მის შვილს თმა შეაჭრა. მამას შვილის ახალი ვარცხნილობა არ მოეწონა. კამათის დროს მან რამდენიმეჯერ ესროლა სილამაზის სალონის თანამშრომელს და დანაშაულის ადგილიდან მანქანით მიიმალა.

სამი ტყვიით დაჭრილი სტილისტი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ექიმები მის მდგომარეობას სტაბილურად აფასებენ.

აქვნიანი ცოლი ყოფილ ქმარს სათამაშოს დახმარებით უთვალთვალებდა



ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ პაკესტაუნში ცოლი ფარულად უთვალთვალებდა თავის ყოფილ ქმარს, რისთვისაც სათამაშოს იყენებდა.

33 წლის ჰიზერ ბემფორდმა ბავშვი თავის ყოფილ მეუღლე დომინიკთან გააგზავნა და სათამაშო მივი მასუსი გაატანა, რომელშიც ხმის ჩამწერი მოწყობილობა ჰქონდა დამალული. მამაკაცმა მაშინ შეიტყო, რომ უსმენდნენ, როდესაც სათამაშოს შემთხვევით ხელი დააჭირა და საკუთარი ხმა გაიგონა. ამის შემდეგ მან პოლიციას მიმართა.

ოთხი დღის შემდეგ ბემფორდი დააპატიმრეს და ყოფილი მეუღლის უკანონოდ თვალთვალი და დევნა დასდეს ბრალად. რამდენი წლის განმავლობაში უთვალთვალებდა ის დომინიკს, უცნობია. საქმის გამოძიება გრძელდება.

სალვადორში მიწისძვრა მოხდა

სალვადორში მიწისძვრა მოხდა. ბიძგები დედაქალაქშიც იგრძნობოდა.

სალვადორი ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოა. 1977 წელს იქ დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელმაც 1990 წლამდე გასტანა.

დღეს სალვადორში დემოკრატიული ხელისუფლებაა. ომი დამთავრდა, მაგრამ ქვეყანაში უამრავი პრობლემაა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ



ბელარუსიან მებრძოლს ღრმა დაკოლბასთვის გაკისხეს



მაყურებლებმა ბრიტანელი ტელენამყვანი სატელევიზიო ეთერში მეთისმეტად მოღიავეული სამოსის გამო გაკიცხეს. შესაბამისი საჩივრები მათ

მედიარეგულატორში გაგზავნეს.

35 წლის ჰოლი უილოუბი შოუზე „ცეკვა ყინულზე“ ბრჭყვიადა ბისერებით განწყობილ ღია ვარდისფერ ღრმა დეკოლტიან კაბაში გამოწყობილი გამოჩნდა, რომელმაც მკერდი გაუშვლა.

მაყურებლების თქმით, ნამყვანის ასეთი გარეგნობა კვირის საღამოს პრემიისთვის შეუფერებელი იყო.


— საოჯახო მოუსთვის უფრო მოკრძალებულ გარეგნობას ველოდი. კარგი კაბაა, მხოლოდ არა დღის ამ დროისთვის შესაფერისი და არა ამ აუდიტორიისთვის, — განაცხადა ერთ-ერთმა მაყურებელმა.

— ასეთ დროს ძნელია კონცენტრაცია, თვალები უნებურად კაბისკენ გამიზნოდა, — აღიარა მეორემ. თავის მხრივ, კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მედიარეგულატორში უილოუბის გარეგნობასთან დაკავშირებით 26 მაყურებლის საჩივარი შევიდა.

მილიონარი მასთან ერთად „სამოთხეში“ სმოკრაბის 10 მსუკრელს აქაბს

გერმანელი მილიონერი ექმბს ადამიანებს, რომლებიც ახალ ზელანდიაში მის მფლობელობაში არსებულ მიწაზე ცხოვრებაზე დასთანხმდებიან.

70 წლის მენარმე კარლ რაიპენმა, რომელმაც ქონება ყინულიანი ყავის გაყიდვით დაგროვა, ახალზელანდიურ გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა. ის წერს, რომ 10 ადამიანი სჭირდება, რომლებიც მას განმარტოებით მდებარე ფერმარში კომპანიონობას გაუწევენ. მისი თქმით, მას სურს, რომ მათთან ერთად გაიზარდოს ცხოვრება ამ „სამოთხეში“. მისთვის მისაღები არიან როგორც ქალები, ისე მამაკაცები, მხოლოდ ერთი პირობით — მათი ასაკი 70 წელს არ უნდა



აღემატებოდეს.

მილიონერის სტუმრები იცხოვრებენ ცალკე სახლებში, რომლებიც ორ ადამიანზეა გათვალისწინებული, გაერთიანებული, თევზაობით, ივლიან საყიდლებზე, ისეირნებენ კაიაკებით,

იცურავენ და ფრინველები-სა და ცხოველების ცქერით დატყებინან. თუ ცხენები ჰყავთ, შეუძლიათ, ისინიც ჩაიყვანონ. მილიონერს აქვს საჯინო და მანქანი ცხენოსნობისთვის.

რაიპენმა 223 პექტარი მიწის ნაკვეთი ტასმანიის საზღვრებში 2000 წელს შეიძინა. ამჟამად მისი მამული 5,6 ახალზელანდიურ დოლარად არის შეფასებული. მან 2016 წელს

მისი გაყიდვა ცადა, თუმცა გარიგება არ შედგა.

ფერმა დასახლებებიდან საკმაოდ მოშორებით მდებარეობს. უახლოეს ქალაქამდე მანქანით მგზავრობას საათ-ნახევარი სჭირდება.

ხულიგნებმა ვეგეტარიანელი ბიჭი აიძულეს, გაეცხა

ბრიტანეთის სკოლაში ხულიგანმა თანაკლასელებმა 11 წლის ბიჭი აიძულეს, გაზონიდან ბალახი მოეძოვა. გაერცხელებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვი ვეგეტარიანელია.

45 წლის ლი ჰეილის ამტკიცებს, რომ მის შვილს ჯერ შენაჰენს ქალაქ ბირმინგემის გარეუბანში მდებარე კათოლიკური სკოლის სხვა მოსწავლეები დასცინოდნენ და ავიწროებდნენ.

— ისინი სახესთან ზორციან სენდვიჩს უტრიალებდნენ და გაზონიდან ბალახის ჭამას აიძულებდნენ, — განაცხადა გამწარებულმა მშობელმა, — სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას ვეგეტარიანელების მიმართ. ჩვენ ვისმენთ სულელურ კომენტარებს, გვისვამენ სულელურ შეკითხვებს, ვამჩნევთ მათ დამცინავ გამოსხვებს.

ბრიტანელის განმარტებით, მართალია, ის და

მისი მეუღლე ვეგეტარიანელები არიან, მაგრამ ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე უარი მათმა შვილებმა თავად თქვეს. ბიჭი ვეგეტარიანელი სამი წლის წინ გახდა.

სკოლის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მათ მომხდარის გამოძიება დაიწყეს და სკოლაში მსგავს შემთხვევებს ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებიან. მათ ჟურნალისტებს ასევე განუცხადეს, რომ შენაჰენის ვეგეტარიანელობის ამბავი მათთვის ცნობილი იყო და სასწავლო დაწესებულების სასაიდლოში მწიფი მისი მოთხოვნების შესაბამისად იყო შედგენილი.

ამის მიუხედავად, ჰეილის მიიჩნევს, რომ სკოლა არასაკმარისად ყურადღებიანია და შვილის სხვა სასწავლო დაწესებულებაში გადაყვანას აპირებს.

მოამზადა კანა ნატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის განმწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მესხიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის განმწმენდა ქოლესტერინისგან, წნევის დარღვევების, ღვიძლის განმწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმალეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინოჰელების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტური გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მონესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგან განსაღებების ცენტრი — სექსობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუხსნა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან განმწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართო ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზი, ოსტეოქონდროზი, ოსტეოართროზი, პოდაგრული ართროზი, მანკილოზირებული სპონდილოზი და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შეზოქილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძვლის მონესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკო-ბიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან განმწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, მესხიერების დაბინდვა-დაქვეითების დარღვევების, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების განმწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენერგეტიკისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკო-ბიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენჯური ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.



გია გეგუჩაძე: „ევროპური ირავა ქართული კლუბების შედეგს ჩვენ გავაუმჯობესებთ“

ეროვნული ლიგა დასრულდა და გუნდები ჯერ ისვენებენ, მაგრამ მომავალზე ფიქრობენ. ჩემპიონმა თბილისის დინამომ ეს მწვრთნელის შეცვლით დაინგო, მე-2 ადგილოსანი ბათუმის დინამო ამის აუცილებლობას ვერ ხედავს, რადგან გია გეგუჩაძის მუშაობით კმაყოფილი დარჩნენ.

ზღვისპირელთა მწვრთნელმა

ჟურნალისტებთან ისაუბრა და განვილილი სეზონი შეაფასა.

გია გეგუჩაძე:

— მთლიანობაში, სეზონი დადებითად უნდა შეფასდეს. წლების განმავლობაში, ბათუმში ფეხბურთი კატასტროფულ მდგომარეობაში იყო, ჩვენ კი მოვახერხეთ უმაღლეს ლიგაში გადმოსვლა, მე-2 ადგილის დაკავება და ევროსაგზაუროს მოპოვება. ყველაზე რთული იყო ერთდროულად გუნდის შენების პროცესი და დადებითი შედეგის მიღწევა.

ჩვენი ამოცანა აუცილებლად იქნება ევროტურნირებზე წარმატებული გამოვლა, რაც ნიშნავს რამდენიმე ეტაპის გავლას. შესაძლოა, გულნატკენები ვართ ქართულ კლუბებზე, მაგრამ არც ის უნდა დგავდეს, რომ სულ ახლო წარსულში, ქუთაისის ტორპედო და საბურთალო ძალიან ახლოს იყვნენ ჯგუფურ ეტაპთან. მე მაინც

ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვფიქრობ, რომ გარღვევა მოხდება.

გუნდის გაძლიერებაზე ვმუშაობთ. მათე ცინცაძე უკვე დავიმატეთ და, სავარაუდოდ, მალე დაიხურება ვაგნერ გონსალვების ტრანსფერი. ვფიქრობ, გაძლიერება გეგმიურად ცენტრალური თავდასხმელის, ცენტრალური მცველის და მეკარის პოზიციებზე. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკმაყოფილო ვარ იგივე მეკარე ალაგის თამაშით. პირიქით, ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს, კონკურენციის ზრდა კი სასარგებლოა გუნდისთვის.

ყველას კარგად გვცემს, თუ რამხელა წარმატება და გარღვევა იქნება საქართველოს ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატზე გასვლა. ვფიქრობ, არ არის აუცილებელი ყოველდღე იმაზე ლაპარაკი, რომ ფლეი ოფის თამაშები აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რადგან ფეხბურთელები ისედაც



წნეხში არიან და ამით კიდევ უფრო ვამძაფრებთ ემოციებს.

თითოეული ფეხბურთელი აცნობიერებს დასახულ ამოცანას და ვითარების კიდევ უფრო დაძაბვა არაა საჭირო. ვფიქრობ, რთული თამაშები

იქნება, რადგან იგივე ბელარუსის თვისაც ეს ისტორიული შანსია. მთავარია, ვითამაშოთ ლაღად, თავისუფლად და დარწმუნებული ვარ, მიზანს მივაღწევთ.

შოაშაძე მსხილ ჟორჯილიანმა

ჰაიდი კლუბი საბაზანოვი გადაღებული პარტიკული ფოტო გამოაქვეყნა

გერმანელმა მსახიობმა, ტელეწამყვანმა და ყოფილმა სუპერმოდელმა ჰაიდი კლუბი საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელშიც ის საბაზანო ოთახში პოზირებს. ფოტო ინსტაგრამში მის გვერდზე გამოჩნდა.

ფოტოსურათზე 46 წლის კლუბი ქაფით სახე აბაზანაში გვერდულად წევს. მას მოუჩანს შიშველი თეძო, სახეზე მაკიაჟი აქვს გაკეთებული, თმები კი უკან ცხენის კუდივით აქვს შეკრული.

ფოტოსურათის კომენტარში, რომელმაც უკვე 70 ათასზე მეტი მოწონება მიიღო, ყოფილმა სუპერმოდელმა თავყანისმცემლებს ღამე მშვიდობისა უსურვა.

კლუბის თავყანისმცემლები ფოტოსურათმა ძალიან გაახარა.



— ასეთი ფოტოსურათის ნახვის შემდეგ ნამდვილად მშვიდად დამძინებია, — დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა თავყანისმცემელმა.

— რა ლამაზი ხარ. მშვიდობიან ღამეს გისურვებ! — აღნიშნა მეორემ.

— შენ ჩემი კერძი ხარ! ჰაიდი, ღმერთქალი ხარ, — აღიარა მესამემ.

შოაშაძე კანა ხატიაშვილმა

ზოოპარკი ვეფხე გავუჩა თავდასხმას შეასადა



ირლანდიის დედაქალაქ დუბლინის ზოოპარკში ვეფხე შეეცადა, ბავშვს თავს დასხმოდ და მინას შეასკდა. ამის ამსახველი ვიდეო ტვიტერში საკუთარ გვერდზე ბავშვის მამამ გამოაქვეყნა.

კვირას, 22 დეკემბერს, ირლანდიელმა თავისი პატარა შვილი ზოოპარკში წაიყვანა. ბავშვი ზურგიტ ვეფხის ვოლიერთან იდგა. მტაცებელი მისი დაინტერესდა და დაეძგერა, მაგრამ მინის კედელს შეასკდა. ნადავლის მოპოვების მიზნით მან მინის კედელს თათები დაუშინა. ბავშვი შეშინდა და ვოლიერს მოშორდა. აღნიშნული ინციდენტის შედეგად არავინ დაშავდა.

ვიდეორგოლში ისმის, თუ როგორ იცინის ბავშვის მამა მომხდარის გამო. აღნიშნულმა კადრებმა სოციალური ქსელის მომხმარებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ვიდეომ 650 ათასზე მეტი ნახვა მოგვრთა. ინტერნეტმომხმარებლებმა ვეფხის დიდი ზომები და მინის სიმაგრე აღნიშნეს.

საქართველოს დამსახურებული არტისტი ვაჟა ოყრეშიძე გარდაიცვალა

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის ღვაწლმოსილი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ლირების ორდენის კავალერი ვაჟა ოყრეშიძე გარდაიცვალა.

ინფორმაცია თეატრმცოდნე ნიკოლოზ ნულუკიძემ გაავრცელა:

— დიდებული კაცი იყო ვაჟა ოყრეშიძე! დიდი ისტორიით. უკანასკნელი არტისტი წავიდა ქუთაისის იმ თეატრალური ეზოდან, სადაც რეზო გაბრიაძე და იოლიტე ხეიფა ცხოვრობდნენ. ორი კვირის წინ ვესტუმრე მეგობრებთან ერთად, ჩვეული სითბოთი მოგვიყვანა მესხიშვილელთა ოქროს ხანაზე. ახლა ქუთაისში ვარ, გუშინ ქალაქის მერს შევხვდი ბატონი ვაჟას ვარსკვლავის გახსნის თემაზე. დღეს გარდაიცვალა... წავიდა გულნატკენი და ამაყი, ისე, როგორც მიდიან დიდებული ადამიანები! მშვიდობით, მეგობარო!

შოაშაძე კანა ხატიაშვილმა



„სეკსუალური პარსკვლავებს“ ნათია ჩარკვიანი გამოუთიხა

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეცხრე სეზონში დარჩენილმა ხუთმა წევრმა ქართული ცეკვის ტურში მიიღო მონაწილეობა და ფლამენკოს მეფის ხოაკინ კორტეს ჩვენი საგანძური გააცნო.

სუხიშვილების ტურში კონკურსანტები ნინო და ილიკო სუხიშვილებმა, ირაკლი მაქაქარიამ, სოფო შევარდნაძემ და ქართულ სამოსში გამოწყობილმა ხოაკინ კორტესმა შეაფასეს. როგორც მან განაცხადა, არ იცნობდა ქართულ ცეკვებს და ბედნიერია, რომ გვიან, მაგრამ მაინც მიეცა ამ არაჩვეულებრივი ცეკვების ნახვის შესაძლებლობა.

ღამეა გვასალია: „ოჯახში აუტსაილარი ვიყავი“

ქართველმა დიზაინერმა ღამეა გვასალიამ უცხოურ გამოცემასთან ინტერვიუში ოჯახზე, ძმაზე, მეორე ნახევარსა და მამაზე ისაუბრა.

ღამეა თავისი ოჯახის წევრებზე:

— დიდი ოჯახიდან ვარ, კლანივით. ბიძაშვილები ერთმანეთს ძმებს ეძახიან, როგორც სამხრეთ იტალიაში, მაგრამ მე ოჯახში უფრო აუტსაილერი ვიყავი. ყოველთვის მინდოდა მამა ყველაფრისგან თავის დაღწევა.

ღამეა გვასალია მამაზე:

— მამაჩემი ძალიან მოწესრიგებული კაცია. ახლა გერმანიაში ცხოვრობს. სახლშიც ყველაფერი ისე აქვს დაწყობილი, მე რომ ჩავდივარ და ჩემს



ნივთებს ვალაგებ, გეცე აწუხებს.

ღამეა გვასალია მეორე ნახევარზე:

— 30 წლის რომ ვიყო და საკუთარი თავისთვის რამის თქმა შემეძ-

ლოს, ვეცდიდი: „წადი სამხრეთ საფრანგეთში და გაიცანი!“ ის ჩემი ცხოვრების უკეთესობისკენ ცვლილებას წარმოადგენს. ერთხელ 90-იანი წლების ტანსაცმლის არქივებს ვაჩვენებდი, როდესაც მითხრა: „ოჰ! მაშინ 2 წლის ვიყავი!“ 1992 წელს დაიბადა, პაპა, მაგ დროს მე უკვე სისულელებით სახსენებელი მქონდა.

ღამეა გვასალია ძმაზე:

— 5 წლიდან ამბობდა, რომ ჩემი დირექტორი უნდა გამხდარიყო და, აი, ისიც! ხომ ხედავთ? ჩემი დირექტორია! ყოველდღე ვწახუზობთ, მასთან მუშაობა ადვილი არ არის, მაგრამ სხვა ბიზნესპარტნიორებს მაინც მირჩევენია.

შოაშაძე კანა ხატიაშვილმა

ქალმა გზაზე საჩუქარი იპოვა და გაუმჯობესა ღამეა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლის შტატის ქალაქ გრინვილის მცხოვრებმა ქალბატონმა გზაზე შეფუთული საჩუქარი იპოვა და გამგზავნის დაუბრუნა. ლორენ პარპერი ავტომობილით მიემგზავრებოდა და გზის პირას დაგდებული კაპკაშა ფერის შეფუთული საშობაო საჩუქარი შენიშნა. ის მანქანიდან გადავიდა, საჩუქარი აიღო. მასზე ეწე-

რა: „დღესას და მამას კენედისგან“. ქალმა საჩუქრის ფოტოსურათი ფეისბუქში გამოაქვეყნა და ის სოციალური ქსელის ათასზე მეტმა მომხმარებელმა გააზიარა. ერთ-ერთმა მათგანმა შენიშნა, რომ ეს საჩუქარი იმით ჰგავდა, რომლებსაც ლა პეტიტეს საბავშვო ბალიდან სახლებში უგზავნიან.

პარპერი საბავშვო ბალს დაუკავ-

შირდა და გაიგო, რომ საჩუქარში ჩარჩოში ჩასმული სამი თვის გოგონას, სახელად კენედის ფეხის ანაბეჭდი იყო.

ქალმა საჩუქარი საბავშვო ბალს დაუბრუნა, რათა მათ ის ბავშვის მშობლებს ისევ გაუგზავნონ, მოგვიანებით კი განაცხადა, რომ საჩუქარი კენედის მშობლებს მიუვიდათ.


შოაშაძე კანა ხატიაშვილმა

ხოსხოსი ბ

შეუღალა: 1. გადასახადი სახელმწიფოში შემოსავლის საფონდზე; 2. შეშენ, დამხმარე, მფარველი ადამიანი; 3. ქალაქ კიევის მერი; 4. სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი ქართული ფირმა; 5. ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ფასიან ქალაქზე, ფულზე; 6. იტალიელი პოლიციელი; 7. ყურძნის შაქარი; 8. ცდის გარეშე, ცდისგან დამოუკიდებელი ფაქტი, ქმედება; 9. პოლიციის კონკრეტული სკვადრა; 10. ქართული ნაციონალური კერძი; 11. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

თარგმანი: 1. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 2. ამერიკელი გამოცემის ელექტროტექნიკის დარგი; 3. ავსტრიელი ექიმ-ფსიქოლოგი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 4. მთავარი, კაპიტანი; 5. მღვდელმთავართა საერთო სახელწოდება; 6. ღვინის სპირტი; 7. პატარა ბალი; 8. ლიტერატურაში მკაცრი გაკიცხვა, დაცინვა; 9. შხამიანი აფრთხილები ბუზი; 10. ფრანგული არაყი; 11. ქართული მალაქა.

შეადგინა თ. კობახიშვილმა



წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

პროსპორტი ა	პროსპორტი ბ
<p>შეუღალა: 1. ტოშობა; 2. სინაი; 3. ანელი; 4. კამორა; 5. კოკანი; 6. თეორი; 7. ტერტრა; 8. შევქელი; 9. იაგუარი; 10. თემშარა; 11. შუამთა.</p> <p>თარგმანი: 5. მონოტიზმი; 6. ოგინსკი; 7. ამქარი; 8. მექსიკა; 9. რურუა; 10. სტეპი; 11. მოროშინა; 12. ფეტვი; 13. შაქარი; 14. ლუკერი; 15. მომა; 16. მარლა; 17. თული; 18. პროფექტი.</p>	<p>შეუღალა: 1. ყაჭი; 2. ჩხუტი; 3. სენიგი; 4. აქცია; 5. ტრიგლიტი; 6. ბუნდესტაგი; 7. სტაიერი; 8. ტანდემი; 9. ოკრიბა; 10. პაშიში; 11. ოკაპი.</p> <p>თარგმანი: 1. ყაჭი; 2. ლაკოსტა; 3. ჭყურტი; 4. გოპაკი; 5. ონაგატა; 6. ტრავიატა; 7. კიტონი; 8. საკურა; 9. რაჭა; 10. ხმელიცი; 11. უილიამსი.</p>

სამგლოვიარო განცხადება

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმად მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ პროფესორ ინგა ბალარჯიშვილს მამის

შალვა ბალარჯიშვილის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადება მიიღება ყოველდღე, კვირის გარეშე, 12-დან 17 საათამდე.

